

**წამების
პრევენციის
ეროვნული მექანიზმების
სახეები და
უფლებამოსილებები**

დემოკრატიისა და უსაფრთხო
განვითარების ინსტიტუტი

IDSD



წამების პრევენციის
ეროვნული
მედიცინის სასაბი და
უფლებამოსილებები

დემოკრატიისა და უსაფრთხო
განვითარების ინსტიტუტი

თებერვალი 2015



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

კვლევა მომზადებულია პროექტის „ალტერნატიული მონიტორინგის მოდელის შემუშავება“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ დაფინანსებით.

| | |
|--|-----------|
| შესავალი | 6 |
| ნაწილი პირველი: | |
| პრევენციის ეროვნული მექანიზმები – სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება | 14 |
| 1. ახალი ორგანოები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესასრულებლად | 14 |
| 1.1 გერმანია | 14 |
| 1.2 ლიხტენშტეინი | 16 |
| 1.3 საფრანგეთი | 17 |
| 1.4 შვეიცარია | 19 |
| 1.5 მალდივები | 20 |
| 1.6 ყირგიზეთი | 21 |
| 1.7 ბოლივია | 24 |
| 1.8 გვატემალა | 25 |
| 1.9 პარაგვაი | 26 |
| 1.10 ჰონდურასი | 28 |
| 2. მრავლობითი ორგანოები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესასრულებლად | 30 |
| 2.1 ახალი ზელანდია | 30 |
| 2.2 ნიდერლანდები | 31 |
| 2.3 დიდი ბრიტანეთი | 34 |
| 2.4 მალტა | 37 |

**ნაწილი მეორე: საზოგადოებრივი მონიტორინგის
მექანიზმის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტები** 40

| | |
|---|-----------|
| 1. სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები და უფლებამოსილებები | 40 |
| 1.1 არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა | 40 |
| 1.1.1 შერჩევის კრიტერიუმები | 40 |
| 1.1.2 შერჩევის წესი | 42 |
| 1.2 საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის როლი დახურული ინსტიტუციების მუშაობის გაუმჯობესებაში | 43 |
| 1.2.1 პრევენციის ფუნქცია | 44 |
| 1.2.2 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კონკრეტული ფორმები | 47 |
| 1.3 მუშაობის კოორდინაცია პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან და შესაბამის ორგანოებთან | 49 |
| 1.3.1 საზოგადოებრივი მონიტორინგი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი | 49 |
| 1.3.2 საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი და დახურული დაწესებულებების ხელმძღვანელობა | 51 |
| 2. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება | 52 |
| 2.1 ინსტიტუციური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან | 52 |
| 2.2 არაფორმალური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან | 55 |
| 2.3 საქართველო | 56 |

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში ისეთი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის მოდელის შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის დაწესებულებებში წამებისა და არასათანადო მოპყრობის პრევენციას და ამ დაწესებულებებში განთავსებულ პირთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, არასათანადო მოპყრობის პრევენციას და დაეხმარება უკვე არსებულ პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მისი ფუნქციების შესრულებაში. ამასთან, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ერთ-ერთი ფუნქცია იქნება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მხარდაჭერა პრინციპული საკითხების ადვოკატირებაში. იგი ასევე მოწოდებული იქნება, დაეხმაროს შესაბამის უწყებებს თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის დაწესებულებებში არსებული პრობლემების გამოვლენასა და აღმოფხვრის გზების დასახვაში, ასევე მოამზადებს შესაბამის რეკომენდაციებს ხელისუფლების სხვადასხვა შტოებისთვის.

2002 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი¹ (OPCAT), რომლის მიზანს წარმოადგენს დამოუკიდებელ საერთაშორისო და ეროვნულ ორგანოთა რეგულარული ვიზიტების განხორციელება თავისუფლებლადკვეთილ პირთა დაკავების ადგილებში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის თავიდან აცილების მიზნით. ფაკულტატიური ოქმის საფუძველზე,

¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1204389>;

ხელმომწერ სახელმწიფოებს დაევაღათ პრევენციის ეროვნული მექანიზმების დასახელება ან შექმნა, რომელთა დანიშნულებას წარმოადგენს ადგილობრივ დონეზე წამებისა და არააადამიანური მოპყრობის თავიდან აცილება და აღმოფხვრა. ამისთვის პრევენციის ეროვნული მექანიზმების მანდატი მოიცავს ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგს და თავისუფლებააღკვეთილ პირთა მონახულების უფლებას.

OPCAT-ი აძლევს სახელმწიფოებს შესაძლებლობას თავად აირჩიონ პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფორმა. ამგვარად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის რამდენიმე ტიპი შეიქმნა და ყველა ხელმომწერი სახელმწიფო თავად განსაზღვრავს პრევენციის ეროვნული მექანიზმების ფორმირების წესს. ყველაზე ხშირად სახელმწიფოები არჩევენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მინიჭებას უკვე არსებული სტრუქტურებისთვის.

OPCAT-ი მიუთითებს, რომ თანამშრომლობა უნდა შედგეს სამოქალაქო საზოგადოებასა და პრევენციის ეროვნულ მექანიზმებს შორის, თუმცა არ ასახავს ურთიერთობის კონკრეტულ ფორმებს. პრაქტიკაში აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია სერიოზული როლი ითამაშოს მონიტორინგის პროცესში, პრევენციული ღონისძიებების გატარების დროს და დაზარალებულთა რეაბილიტაციის კუთხით. ასევე, მათი როლი შეიძლება ძალიან ეფექტური აღმოჩნდეს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებაშიც.

წამების საწინააღმდეგო ასოციაციის (APT)-ის² სახელმძღვანელოს თანახმად, რომელიც პრევენციის ეროვნული მექანიზმების შექმნასა და დასახელებას ეხება, სამოქალაქო საზოგადოებას სამი ძირითადი ფუნქცია აკისრია: 1. ის შესაძლოა იყოს დახურულ დაწესებულებებზე ინფორმაციის პირველწყარო (იგულისხმება ის ორგანიზაციები, რომლებიც მუშაობენ პატიმრებთან და სხვა თავისუფლებაშემზღუდულ პირებთან). 2. გაზარდოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ცნობადობა. 3. შეასრულოს პრევენციის ეროვნულ მექანიზმის მუშაობაზე გარე დამკვირვებლის ფუნქცია.

² http://www.apr.ch/content/files_res/NPM.Guide.pdf;

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, სლოვენიაში პრევენციის ეროვნულ მექანიზმის ნაწილს სამოქალაქო საზოგადოება წარმოადგენს, მაშინ, როდესაც სხვები თანამშრომლობის სხვა სახეებს მიმართავენ, მაგალითად, სამუშაო ჯგუფების შექმნა და თვეში ერთხელ სამუშაო შეხვედრების ორგანიზება.

„წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის“ რატიფიცირება მოხდა 81 სახელმწიფოში. მათგან პრევენციის ეროვნული მექანიზმი დასახელდა 64 ქვეყანაში. აქედან 43 ყვეყანაში აღნიშნული ფუნქცია გადაეცა უკვე არსებულ ინსტიტუციას, ხოლო ახალი სპეციალიზებული ორგანო შეიქმნა 14 ქვეყანაში. 6 ქვეყანაში რამდენიმე ორგანო ერთდროულად ასრულებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. გამონაკლისს წარმოადგენს კამბოჯა, სადაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქცია სამთავრობო უწყებათაშორის ორგანოს მიენიჭა.

| | ბრსმებული | ახალი | მრავლობითი |
|---------------|-------------|--------------|---------------|
| ევროპა | ავსტრია | გერმანია | გაერთიანებული |
| | აზერბაიჯანი | ლიხტენშტეინი | სამეფო |
| | ალბანეთი | საფრანგეთი | იტალია |
| | ბულგარეთი | შვეიცარია | მალტა |
| | დანია | | ნიდერლანდები |
| | ესტონეთი | | შვედეთი |
| | კვიპროსი | | |
| | ლიტვა | | |
| | ლუქსემბურგი | | |
| | მაკედონია | | |
| | მოლდოვა | | |
| | მონტენეგრო | | |
| | ნორვეგია | | |
| | პოლონეთი | | |
| | პორტუგალია | | |
| | რუმინეთი | | |
| | საბერძნეთი | | |

| | | | |
|-------------------------------|--|---|----------------|
| | საქართველო სერბეთი სლოვენია სომხეთი ესპანეთი უკრაინა უნგრეთი ფინეთი ჩეხეთი ხორვატია | | |
| აზია/წყნარი ოკეანე | თურქეთი ყაზახეთი | მალდივები ყირგიზეთი | ახალი ზელანდია |
| სამხ. ამერიკა | არგენტინა ბრაზილია ეკვადორი კოსტა რიკა მექსიკა ნიკარაგუა ურუგვაი ჩილე პერუ | ბოლივია გვატემალა პარაგვაი ჰონდურასი | |
| აფრიკა | მავრიტანია მოზამბიკა ტოგო | ბურკინა ფასო ნიგერია სენეგალი ტუნისი | |

უკვე არსებულ ორგანოებში იგულისხმება ეროვნული ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუციები როგორც არის ომბუდსმენი, ადამიანის უფლებათა კომისია და ა.შ., საპარლამენტო კომისია და სხვა ორგანო, რომელიც ადრეც ასრულებდა ადამიანის უფლებათა დაცვის ფუნქციებს. პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის უკვე არსებული ორგანოსთვის მინიჭებას გააჩნია ის უპირატესობა, რომ ორგანო-

ები, რომლებსაც აღნიშნული მანდატი ენიჭებათ უკვე დაფუძნებული არიან, გააჩნიათ დაფინანსების მექანიზმი და წყარო, მათი უმეტესობა ასევე აღჭურვილია დამოკიდებლობის შესაბამისი საკანონმდებლო და პრაქტიკული გარანტიებით და ბევრ მათგანს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება. ამგვარად, სახელმწიფოს აღარ უწევს ზრუნვა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის განმახორციელებელი ორგანოს ცალკე სტრუქტურის შექმნაზე, ასევე, ზოგავს საბიუჯეტო სახსრებს. გარდა ამისა აღნიშნულ ინსტიტუციებს უკვე აქვთ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტებზე რეაგირების და ხშირ შემთხვევაში, დახურული დაწესებულებების მონიტორინგის გამოცდილება. აღნიშნულ ორგანოებს მეტი რესურსი გააჩნიათ მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების მობილიზების მხრივაც. როგორც წესი, საზოგადოება მათ უკვე იცნობს და ინფორმირებული არიან მათზე მიმართვის პროცედურების თაობაზე.

რაც შეეხება უარყოფით მხარეს, აღსანიშნავია, რომ უკვე არსებულ ორგანოთა დიდ ნაწილს გაცილებით უფრო ფართო უფლებამოსილებები აქვს. ასევე განსხვავებულია მათი პრიორიტეტები. შესაბამისად, არსებობს რისკი, რომ პრევენციის ეროვნულ მექანიზმის მანდატი ერთგვარად დაიკარგოს სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან ფუნქციებს შორის. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ომბუდსმენის ინსტიტუტის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია საჩივრების მიღება და მათი განხილვაა, რაც არ შედის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ძირითად კომპეტენციებში. გარდა ამისა, როგორც წესი, არსებულ ორგანოებს უჭირთ დამატებითი რესურსების მოძიება, რაც ხელს უშლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატით მინიჭებული ახალი უფლებამოსილებების ჯეროვნად განხორციელებაში. არსებული რესურსების გადანაწილება კი ხშირად რთულია და პრევენციის მექანიზმების დიდ ნაწილს გარე დაფინანსების ძიება უწევს.

ახალი სპეციალიზებული ორგანოს შექმნის შემთხვევაში, აშკარა უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ შესაძლებელია ორგანოს სტრუქტურის და მუშაობის წესის მოდელირება არსებული საჭიროებების და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის სპეციფიკის გათვალისწინებით. თუმცა, აღნიშნულშივე მდგომარეობს ახლად შექმ-

ნილი ორგანოს უარყოფითი მხარეც – ახალი მექანიზმის ეფექტურობის შეფასება. ასევე, მისი ფუნქციონირების წესების და სამუშაო სამუშაო პროცედურების დახვეწას და გაუმჯობესებას დრო სჭირდება. ამ დროის განმავლობაში შესაძლოა ძირითადი ფუნქციების შესრულება შეფერხდეს, რამაც შესაძლებელია აღნიშნული ორგანოს რეპუტაციას და სანდოობას ჩრდილი მიაყენოს საზოგადოებაში.

რამდენიმე ორგანოსთვის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების მინიჭებასაც აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, რამდენიმე ორგანოს შემთხვევაში, თეორიულად მანინგ კონტროლი უფრო სრულყოფილად ხორციელდება, დახურულ დაწესებულებებში არსებული პრობლემების დამალვა უფრო გაძნელებულია და იქ არსებული პრობლემატიკის და წამების პრევენციასთან დაკავშირებული საკითხების საჯაროობა მეტად არის უზრუნველყოფილი. რამდენიმე ორგანოს საერთო ქოლგის ქვეშ თავმოყრა სხვა რისკებსაც შეიცავს, როგორც არის კოორდინაციის სირთულე, მოუქმნელობა, რეაგირებისა და გადაწყვეტილების მიღების დაგვიანება, კომპეტენციების არაჯეროვანი გადანაწილება. ფუნქციების დუბლირებამ შესაძლოა ზოგ შემთხვევაში, ორგანოებს შორის არაჯანსაღი კონკურენციის სახეც მიიღოს. ამგვარად, შესაძლებელია პრევენციის ეროვნულ მექანიზმში შემავალმა მრავლობითმა ორგანოებმა ზედმეტი ფოკუსირება მოახდინონ კომპეტენციების და რესურსების გადანაწილებაზე და ყურადღების მიღმა დატოვონ მათი ძირითადი ფუნქციები.

კვლევის პირველ ნაწილში განხილული იქნება სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის მოდელები, რომლებიც განსხვავდება საქართველოში არსებული „ომბუდსმენ პლიუს“ მოდელისგან.

ყველა ქვემოთ განხილულ მოდელში სამოქალაქო საზოგადოებას გარკვეული როლი ეკისრება. თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის დაწესებულებების გამჭვირვალობა და იქ განთავსებულ პირთა უფლებების განხორციელების უზრუნველყოფა დემოკრატიულ საზო-

გადობაში აუცილებლობას წარმოადგენს, რისი მიღწევის ერთ-ერთი საუკეთესო გზა სწორედ საზოგადოებრივი, დამოუკიდებელი მონიტორინგის მექანიზმის არსებობაა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის დაწესებულებებში, რომელთა ეფექტური მართვა შიდა უსაფრთხოების მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებასაც მოიცავს, საზოგადოების ნებისმიერი წარმომადგენლის თავისუფალი დაშვება გარკვეულ რისკებსაც შეიცავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, შემუშავდეს ასეთ პირთა შერჩევის **ობიექტური და გამჭვირვალე კრიტერიუმები**, რაც მსგავს რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.

მეორე მხრივ, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისთვის მნიშვნელოვანია, თავიდანვე განისაზღვროს **მექანიზმის ფუნქციები და უფლებამოსილებები**. საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის როლი, შესაძლოა, ფოკუსირებული იქნეს *მოგადი, სისტემური ხასიათის ხარვეზების აღმოფხვრაზე* – არასათანადო მოპყრობის პრევენცია, უფლებების რეალიზაციის უზრუნველყოფის გზების დასახვა, სისტემური ხასიათის რეკომენდაციების გაცემა შესაბამისი ორგანოების მისამართით, ან/და უფრო *კონკრეტული საქმიანობის განხორციელებაზე დახურულ დაწესებულებებში* – ტრენინგები დაწესებულების თანამშრომლებისთვის, საგანმანათლებლო/პროფესიული სწავლების პროგრამები დახურულ დაწესებულებებში განთავსებული პირებისთვის, რესოციალიზაციის/რეაბილიტაციის ხელშეწყობა.

ამგვარად, კვლევის მეორე ნაწილში განხილული იქნება საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის მოწყობის წესები და ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში, არსებული გამოცდილება.

ნაწილი პირველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმები – სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება

1. ახალი ორგანოები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესასრულებლად

1.1 გერმანია

გერმანიაში³ 2006 წელს მოხდა OPCAT-ის რატიფიკაცია. 2009 წელს, იუსტიციის ფედერალური მინისტრის 2008 წლის 20 ნოემბრის ბრძანებით, შეიქმნა წამების პრევენციის ეროვნული სააგენტო⁴, რომელიც აერთიანებს ფედერალურ სააგენტოს და მიწების გაერთიანებულ კომისიას.

წამების პრევენციის ეროვნული სააგენტო არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო ორგანოს. წელიწადში ერთხელ აქვეყნებს ანგარიშს და რეკომენდაციებს ამზადებს ფედერალური მთავრობის, ბუნდესტაგის⁵ და მიწების მთავრობებისთვის. სააგენტო, მონიტორინგის გარდა, უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები და შენიშვნები არსებულ კანონმდებლობაზე და მოამზადოს კანონპროექტები.

ფედერალური სააგენტოს დირექტორს და მოადგილეს ნიშნავს იუსტიციის და მომხმარებელთა დაცვის მინისტრი. მათ არ აქვთ ყოველთვიური ანაზღაურება და იღებენ მხოლოდ ვიზიტის დროს გაწეული ხარჯების კომპენსაციას. გაერთიანებული კომისიის წევრები ინიშნებიან მიწების იუსტიციის მინისტრების ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

³ http://www.nationale-stelle.de/index.php?id=frequently_asked_questions&no_cache=1&L=1;

⁴ <http://www.nationale-stelle.de/index.php?id=74&L=1>;

⁵ ფედერალური პარლამენტი;

არც გაერთიანებული კომისიის წევრები იღებენ ანაზღაურებას. სააგენტოს წევრებს ემსახურება სამდივნო, რომელშიც შედიან ანაზღაურებადი თანამშრომლები.

ფედერალური სააგენტო და გაერთიანებული კომისია შედიან ეროვნულ სააგენტოში და იყენებენ საერთო მატერიალურ და ადამიანურ რესურსებს. ასევე, აქვეყნებენ გაერთიანებულ წლიურ ანგარიშსაც. თანამშრომლობის ფორმები გაწერილია ფედერალურ სააგენტოსა და გაერთიანებულ კომისიას შორის დადებული ადმინისტრაციული შეთანხმებით.

ეროვნული სააგენტოს ბიუჯეტის 1/3 ფინანსდება ფედერალური ბიუჯეტიდან, ხოლო 2/3 მიწების ბიუჯეტიდან. ბიუჯეტს განკარგავს იუსტიციის, ინტეგრაციის და ევროპული საქმეების ფედერალური სამინისტრო. 2015 წლისთვის ბიუჯეტი შეადგენდა 54000 ევროს.

ეროვნული სააგენტო არ განიხილავს ინდივიდუალურ საჩივრებს და მისი კომპეტენცია შემოიფარგლება წამების პრევენციის საკითხებით.

ფედერალური სააგენტოს მანდატი ვრცელდება ფედერალური მთავრობის დაქვემდებარებაში არსებულ ყველა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაზე – ფედერალური შეიარაღებული ძალების დაკავების ადგილები, ფედერალური პოლიცია და საბაჟოების ადმინისტრაცია, ხოლო გაერთიანებული კომისიის მანდატი – ყველა იმ დაწესებულებაზე, რომელსაც კურიერებს მიწები, სადაც შედის დახურული დაწესებულებების უმრავლესობა, მათ შორის სასჯელაღსრულების დაწესებულებები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, პოლიციის განყოფილებები, სადეპორტაციო ცენტრები, არასრულწლოვანთა დაკავების ადგილები, ბავშვთა და მოხუცთა მზრუნველობის ადგილები.

უმეტეს შემთხვევაში, მონიტორინგის ვიზიტები არის წინასწარ დაანონსებული და ფედერალურ სააგენტოს თან აქვს იუსტიციის, ინტეგრაციის და ევროპული საქმეების მინისტრის წერილი, ხოლო გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარეს – შინაგან საქმეთა მინისტრის ან თავდაცვის მინისტრის წერილი. ყოველი ვიზიტის შემდგომ მზადდება ანგარიში, რომელსაც წარუდგენენ შესაბამის ორგანოს და დაწესებულებას, სადაც განხორციელდა ვიზიტი. ეს უკანასკნელი აკეთებს კომენტარებს და მოლაპარაკებებს აწარმოებს სააგენტოსთან რეკომენდაციების შესრულების თაობაზე.

ვიზიტის დასაწყისში მონიტორინგის ჯგუფი ესაუბრება დაწესებულების დირექტორს და უხსნის ვიზიტის მიზანს და პროცედურებს. პირადად ესაუბრებიან თანამშრომლებს, თავისუფლებაშეზღუდულ პირებს და ეცნობიან დოკუმენტაციას. ვიზიტის დასრულებისთანავე, მონიტორინგის ჯგუფის წევრები პირველად შედეგებს აცნობენ დაწესებულების ადმინისტრაციას.

ეროვნული სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფში შესაძლოა ჩართული იყვნენ დამოუკიდებელი ექსპერტები და თარჯიმნები.

1.2 ლიხტენშტეინი

ლიხტენშტეინში OPCAT-ის რატიფიცირება მოხდა 2006 წელს. „სასჯელის აღსრულების შესახებ“ კანონის მოდიფიკაციის შემდგომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი მიენიჭა სასჯელაღსრულების კომისიას, რომელიც ფუნქციონირებს 2007 წლიდან. კერძოდ, კანონს დაემატა მე-17 მუხლი, რომლითაც განისაზღვრა კომისიის უფლებამოსილებები. მთავრობა 4 წლის ვადით ნიშნავს კომისიის წევრებს, რომლებიც არიან დამოუკიდებლები, აკონტროლებენ პენიტენციურ სისტემაში სტანდარტების დაცვას და პატიმრების მდგომარეობას. კომისია შედგება 5 წევრისგან, რომლებიც ირჩევენ თავმჯდომარეს, ხოლო თავმჯდომარე თავად ნიშნავს თავის მოადგილეს. წევრებისგან 2 არ უნდა მუშაობდეს საჯარო სამსახურში და სულ მცირე 2 უნდა იყოს მდედრობითი სქესის. წევრების დანიშვნისას მხედველობაში მიიღება მათი გამოცდილება სასჯელაღსრულების სფეროში.

ვიზიტის განხორციელება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგში მონაწილეობას იღებს თავმჯდომარე და 3 წევრი მაინც. სულ მცირე კვარტალში ერთხელ კომისია ახორციელებს გაფრთხილების გარეშე ვიზიტს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. წევრებს აქვთ კონფიდენციური გასაუბრების უფლება. ვიზიტიდან 14 დღის ვადაში კომისია მთავრობას წარუდგენს ანგარიშს და საჭიროების შემთხვევაში – შესაბამის რეკომენდაციებსაც. კომისიის წევრებს ევალებათ კონფიდენციალურობის დაცვა და აქვთ უფლება, არ გაამჟღავნონ ინ-

ფორმაციის წყარო. კომისიის წევრების ანაზღაურება განსაზღვრულია „სახელმწიფო მოხელეთა ანაზღაურების შესახებ“ კანონით.

1.3 საფრანგეთი

2008 წლის 30 ივლისს საფრანგეთის რესპუბლიკამ მოახდინა OPCAT-ის რატიფიკაცია, თუმცა სპეციალიზებული ორგანო ჯერ კიდევ 2007 წელს ჩამოყალიბდა – 2007 წლის 30 ოქტომბრის კანონით⁶ შეიქმნა თავისუფლების აღკვეთის ადგილების გენერალური კონტროლიორის ინსტიტუტი, რომელიც წარმოადგენს დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ორგანოს. მის ფუნქციებს და უფლებამოსილებებს განსაზღვრავს კანონქვემდებარე აქტი⁷.

გენერალური კონტროლიორი ინიშნება რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით, 6 წლით ვადით ერთჯერადად. იგი სარგებლობს იმუნიტეტით და ეკრძალება ნებისმიერი სხვა ანაზღაურებადი საქმიანობა. გენერალური კონტროლიორი თავად ირჩევს სხვა კონტროლიორებს მათი გამოცდილებისა და კომპეტენციის გათვალისწინებით და ისინი მხოლოდ მის წინაშე არიან ანგარიშვალდებულები⁸. კონტროლიორი არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც მუშაობს რომელიმე თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში. გენერალური კონტროლიორის უფლებამოსილებები დელეგირებულია კონტროლიორებზე.

კონტროლიორებს შესაძლებლობა აქვთ, ნებისმიერ დროს ჩაატარონ მონიტორინგი დახურულ დაწესებულებებში, კონფიდენციალურად გაესაუბრონ თავისუფლებააღკვეთილ პირებს, გასცენ რეკომენდაციები და გაასაჯაროონ ინფორმაცია (პერსონალური მონაცემების გარდა). გენერალურ კონტროლიორს შეუძლია, ნებისმიერი პირისგან მოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია, მის მიერვე დადგენილ ვადებში.

⁶ <http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000000279700&fastPos=1&fastReqId=15275639&categorieLien=cid&oldAction=rechTexte;>

⁷ <http://www.legifrance.gouv.fr/affichTexte.do?cidTexte=JORFTEXT000018276752&dateTexte;>

⁸ საფრანგეთში ამჟამად არის სრულ განაკვეთზე მომუშავე 20 კონტროლიორი, 20 მოწვეული კონტროლიორი და 7 აღმასრულებელი, ხოლო სამდივნოში მუშაობს 5 ადამიანი. გარე კონტროლიორის ხელფასის მაქსიმალური ოდენობა შესრულებული სამუშაოს მიხედვით, შეადგენს მაქსიმუმ 1850 ევროს;

სამედიცინო ხასიათის ინფორმაციის გაცნობა შეუძლია ექიმ კონტროლიორს ბენეფიციარის თანხმობით, თუმცა თანხმობა არ არის საჭირო იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ინფორმაცია შეეხება არასრულწლოვანი ან ქმედუუნარო პირის მიმართ განხორციელებულ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ ან სექსუალურ ძალადობას.

არავითარი სანქცია არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირების მიმართ, ვინც კონტროლიორს მიაწოდა ინფორმაცია, გარდა ცრუ დასმენის შემთხვევისა.

გენერალური კონტროლიორი ყოველი ვიზიტის შემდგომ აწვდის რეკომენდაციას შესაბამის მინისტრს ვიზიტის ადგილის მდგომარეობის, პირობების და იქ განთავსებულ პირთა უფლებების დაცვის შესახებ და განუსაზღვრავს მინიმუმ ერთთვიან ვადას რეკომენდაციებზე პასუხის მისაღებად, რომელსაც შემდგომ ურთავს თავის ანგარიშებს.

იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება თავისუფლებააღკვეთილი პირის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევას, გენერალური კონტროლიორი დაუყოვნებლივ მიმართავს შესაბამის ორგანოებს და განუსაზღვრავს მათ ვადას, რომლის ამოწურვის შემდგომ ამოწმებს, აღმოიფხვრა თუ არა პრობლემა. მას შეუძლია აღნიშნული ფაქტი გახადოს საჯარო. იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება სისხლის სამართლის დანაშაულს, იგი მყისიერად მიმართავს რესპუბლიკის პროკურორს. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში კონტროლიორი დაუყოვნებლივ აცნობებს შესაბამის თანამდებობის პირებს. დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სისხლის სამართლის დანაშაულებზე მიწოდებულ ინფორმაციაზე გატარებული ღონისძიებებისა და მიღებული ზომების შესახებ პასუხი ეცნობება გენერალურ კონტროლიორს.

გენერალური კონტროლიორი უფლებამოსილია, მიმართოს შესაბამის ორგანოებს რეკომენდაციით და შენიშვნებით კანონპროექტების, კანონებისა და კანონქვემდებარე აქტების თაობაზე. ასევე, შესაძლებლობა აქვს, მიმართოს შესაბამის ორგანოებს ინფრასტრუქტურული ცვლილებების შესახებ.

კონტროლიორი წელიწადში ერთხელ ამზადებს ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს რესპუბლიკის პრეზიდენტს და პარლამენტს. წლიური ანგარიში არის საჯარო.

გენერალური კონტროლიორი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და გამოყოფილ თანხას თავად განკარგავს. კანონის მიხედვით გენერალური კონტროლიორისთვის ხელის შეშლა⁹ ისჯება ჯარიმით 15 000 ევროს ოდენობით.

1.4 შვეიცარია

შვეიცარიაში OPCAT-ის რატიფიკაცია მოხდა 2009 წელს. იმავე წლის 20 მარტის ფედერალური კანონით „წამების პრევენციის კომისიის შესახებ“¹⁰, რომელიც ძალაში შევიდა 2010 წლის 01 იანვარს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესასრულებლად შეიქმნა დამოუკიდებელი ორგანო – წამების პრევენციის ეროვნული კომისია (NCPT)¹¹, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან და რომლის ბიუჯეტც შეადგენს 700000 შვეიცარიულ ფრანკს. პრევენციის ეროვნული მექანიზმი შედგება 12 წევრისგან, რომლებსაც 4 წლის ვადით (ორჯერ განახლებადი) ნიშნავს ფედერალური საბჭო. წევრები თავიანთ უფლებამოსილებებს ასრულებენ ინდივიდუალურად.

კანონის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის კომისიის წევრები უნდა იყვნენ სამედიცინო, ფსიქიატრიული ან სამართლის დარგის ექსპერტები, ან ჰქონდეთ გამოცდილება თავისუფლების აღკვეთის ადგილების მონიტორინგის სფეროში. არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ წამოაყენონ საკუთარი კანდიდატურები.

კომისია თავად არეგულირებს მუშაობის მეთოდებს. მას ჰყავს მუდმივი სამდივნო და საჭიროების მიხედვით შეუძლია მიმართოს ექსპერტების და თარჯიმნების სერვისს.

კომისიის წევრები ახორციელებენ წინასწარ შეუთანხმებელ ვიზიტებს თ/ა ადგილებში და აქვთ თავისუფლება აღკვეთილ პირებთან

⁹ იგულისხმება ვიზიტისთვის ხელის შეშლა, ინფორმაციის ან დოკუმენტაციის გადაცემაზე უარი, ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მიმართულია გენერალური კონტროლიორისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე ხელის შეშლისთვის, მუქარით ან სხვა ნებისმიერ ქმედებით. ასევე, იმ პირის იმის გამო დასჯისთვის, რომ გენერალურ კონტროლიორს მიაწოდა ინფორმაცია.

¹⁰ <https://www.admin.ch/opc/fr/classified-compilation/20092626/index.html>;

¹¹ <http://www.nkvf.admin.ch/nkvf/en/home/ueber-uns.html>;

მოწმეების გარეშე გასაუბრების უფლება. მათ ხელი მიუწვდებათ შემდეგ ინფორმაციაზე¹²: თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობა, ვინაობა და მათი განთავსების ადგილი; თავისუფლების აღკვეთის ადგილების რაოდენობა და მდებარეობა; თავისუფლებააღკვეთილი პირების მიმართ მოპყრობა და მათი საყოფაცხოვრებო პირობები. კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს თავისუფლებააღკვეთილ პირთა მდგომარეობის და მათ მიმართ მოპყრობის გაუმჯობესების, ასევე, არასათანადო მოპყრობის პრევენციის მიზნით. მას ასევე შეუძლია, წარადგინოს წინადადებები და მოსაზრებები მოქმედ კანონმდებლობაზე ან კანონპროექტებზე.

კომისია ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელიც ხელმისაწვდომია ფართო საზოგადოებისთვის. ფედერალური საბჭო უზრუნველყოფს კომისიის ანგარიშების გამოქვეყნებას და გავრცელებას, ხოლო შესაბამისი ორგანოები განიხილავენ ანგარიშებში მოყვანილ რეკომენდაციებს და გამოთქვამენ მოსაზრებებს მათ შესრულებაზე.

1.5 მალდივები

მალდივებზე OPCAT-ის რატიფიცირება განხორციელდა 2006 წელს. 2007 წელს კი პრეზიდენტის დეკრეტით შეიქმნა ახალი ორგანო – ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისია¹³, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა სპეციალური ჯგუფი თავისი ადამიანური და ფინანსური რესურსებით. 2013 წლის დეკემბერში გამოიცა წამების საწინააღმდეგო აქტი, რომელიც დაფუძნებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ხელშეკრულებებზე, წამების საწინააღმდეგო კონვენციისა და OPCAT-ის ჩათვლით და რომლის 44-ე “ე” მუხლი პრევენციის ეროვნულ მექანიზმად ასახელებს ადამიანის უფლებათა ეროვნულ კომისიას.

¹² კომისიის წევრებს აქვთ წვდომა კონფიდენციალურ ინფორმაციაზე, თუმცა ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების გამჟღავნება პირის სპეციალური თანხმობის გარეშე. სისხლის სამართლის კოდექსით განსაზღვრულია კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის ვალდებულება, თუმცა იმავე კოდექსის თანახმად, კომისიას, გადაუდებელ შემთხვევებში კი კომისიის თავმჯდომარეს, შეუძლია გადაწყვიტოს აღნიშნული ვალდებულებისგან გათავისუფლება.

¹³ <http://www.hrcm.org.mv/publications/otherdocuments/HRCMAActEnglishTranslation.pdf>;

კომისია შედგება 5 წევრისგან, რომლებსაც წარადგენენ ადამიანის უფლებადამცავი ორგანიზაციები ან ის პირები, რომლებიც აქტიურად მუშაობენ ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში. პარლამენტის 7 კაციანი სპეციალური კომიტეტი განიხილავს კანდიდატურებს, ატარებს მათთან გასაუბრებას, რის შემდეგაც ამზადებს დასკვნას პარლამენტისთვის, რომელიც, დასკვნაზე დაყრდნობით იღებს გადაწყვეტილებას და აცნობებს პრეზიდენტს. ეს უკანასკნელი ნიშნავს კომისიის წევრებს 5 წლის ვადით. მანდატის განახლება მხოლოდ ერთხელ არის შესაძლებელი. კომისიის წევრების ანაზღაურება განსაზღვრულია პარლამენტის მიერ და მათი შემცირება მანდატის მოქმედების ვადაში დაუშვებელია.

1.6 ყირგიზეთი

ყირგიზეთში OPCAT-ის რატიფიცირება 2008 წელს მოხდა. 2012 წლის ივლისში მიღებული კანონის¹⁴ საფუძველზე კი შეიქმნა წამების პრევენციის ეროვნული ცენტრი და მისი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო – საკოორდინაციო საბჭო. პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა ფუნქციონირება 2014 წლის მარტში დაიწყო.

11 წევრიანი საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობაში არიან: ომბუდსმენი, საპარლამენტო უმრავლესობის 1 დეპუტატი, საპარლამენტო უმცირესობის 1 დეპუტატი და არასამთავრობო ორგანიზაციების 8 წარმომადგენელი. საკოორდინაციო საბჭოს წევრებს 4 წლის ვადით ირჩევს პარლამენტი. მათ არ აქვთ რეგულარული ანაზღაურება. საბჭოს ორგანიზაციულ, მატერიალურ და ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს წამების პრევენციის ეროვნული ცენტრი.

საკოორდინაციო საბჭო აყალიბებს და ამტკიცებს საბჭოსა და ცენტრის რეგულაციებს, ირჩევს ცენტრის დირექტორს და დირექტორის მოადგილეს, ასევე, ცენტრის წევრობის კანდიდატებს და წარუდგენს დირექტორს, განსაზღვრავს ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობას და მათ ანაზღაურებას, ატარებს საკანონმდებლო ექსპერტიზას და ამტკიცებს ცენტრის ბიუჯეტს. კანონის მიხედვით, საკოორდინაციო საბჭოს ზოგიერთი ფუნქცია

¹⁴ http://www.aptr.ch/content/files/npm/eca/Kyrgyzstan_NPM%20law_ENG.pdf;

– პრევენციული ვიზიტების მეთოდოლოგიის და წლიური პროგრამების შემუშავება, რეკომენდაციების წარდგენა შესაბამისი უწყებებისთვის – გადაიკვეთება პრევენციის ეროვნული ცენტრის ფუნქციებთან.

წამების პრევენციის ეროვნული ცენტრის თანამშრომელი უნდა იყოს ყირგიზეთის მოქალაქე და ჰქონდეს გამოცდილება სამედიცინო, სამართლის, საგანმანათლებლო, ფსიქოლოგია/ფსიქიატრიის და სოციალურ სფეროში. ცენტრის თანამშრომელი არ შეიძლება იყოს მოსამართლე, სამართალდამცავი ორგანოს და პენიტენციური სისტემის თანამშრომელი, თავისუფლების შეზღუდვის ადგილის თანამშრომელი და ყოფილი მსჯავრდებული.

კანონის თანახმად, ცენტრის დაკომპლექტებისას დაცული უნდა იყოს გენდერული ბალანსი და სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა. ცენტრი თავად განსაზღვრავს მისი ფუნქციონირებისთვის საჭირო ბიუჯეტის ოდენობას და დამოუკიდებლად მართავს ფინანსურ რესურსებს. ცენტრის თანამშრომელთა ანაზღაურება განისაზღვრება ომბუდსმენის ინსტიტუტის თანამშრომელთა ანაზღაურების მსგავსად.

წამების პრევენციის ეროვნულ ცენტრს აქვს 7 ტერიტორიული წარმომადგენლობა.

წამების პრევენციის ეროვნული ცენტრი შეიმუშავებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში წამების პრევენციის სტრატეგიას, და ასევე, მონაწილეობს მისი განხორციელების მონიტორინგში. იგი წარადგენს წინადადებებს საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესების ან წამების პრევენციის და დაკავებულთა მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკის სრულყოფის მიზნით. ცენტრი შეიმუშავებს და ახორციელებს წამების მიზეზების აღმოფხვრისკენ მიმართულ საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

ცენტრის თანამშრომლების, საკოორდინაციო საბჭოს წევრებისა და ექსპერტებისგან შემდგარი ჯგუფი დღე-ღამის ნებისმიერ დროს, გაფრთხილების გარეშე, რეგულარულ პრევენციულ ვიზიტებს¹⁵ ახორ-

¹⁵ გარდა პრევენციული ვიზიტებისა, მონიტორინგის ჯგუფი ახორციელებს შუალედურ ვიზიტებს, რა დროსაც ხდება რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, ასევე, ad hoc ვიზიტებს, რომლებიც ემსახურება წამების და არაადამიანური მოპყრობის შესახებ მიღებული ინფორმაციის ადგილზე გადამოწმებას.

ციელებს თავისუფლების აღკვეთის ადგილებში¹⁶, რა დროსაც ინდივიდუალურად უნდა გამოკითხონ დაწესებულებაში განთავსებულ პირთა 1/3. ჯგუფის წევრებს უფლება აქვთ მოითხოვონ ნებისმიერი სახის ინფორმაცია საიდუმლო ინფორმაციის გარდა. ყოველი ვიზიტის შემდგომ მზადდება ანგარიში, რომელსაც ხელს აწერს ჯგუფის ყველა წევრი. თუ ვინმეს აქვს განსხვავებული აზრი, იგი თან ერთვის საერთო ანგარიშს. მონიტორინგის წევრებს აქვთ ფოტო და ვიდეო გადაღების უფლება. მათ შეუძლიათ, საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვონ პირისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა ან მისი სამედიცინო შემოწმება. ამ პირის თანხმობის შემთხვევაში, უფლება აქვს დაესწროს სამედიცინო შემოწმებას.

ვიზიტების შესახებ ინფორმაცია შუქდება მედია საშუალებებით და განთავსდება ცენტრის ვებ-გვერდზე. ვიზიტების დროს აღმოჩენილი წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები გადაეგზავნება პროკურატურას. წამების პრევენციის ეროვნული ცენტრი, როგორც წესი, წელიწადში ერთხელ წარუდგენს ანგარიშს პარლამენტს, თუმცა ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევებზე შეუძლია მოამზადოს სპეციალური ანგარიში.

საბჭოსა და ეროვნული ცენტრის წევრები სარგებლობენ იმუნიტეტით. კანონით აკრძალულია მათი პირადი ჩხრეკა და დოკუმენტაციის შემოწმება. ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში თავად წევრმა უნდა განაცხადოს ვიზიტზე უარი. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაცია ვალდებულია შეატყობინოს ცენტრის დირექტორს მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ნებისმიერი არაკანონიერი ქმედების შესახებ.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი თანამშრომლობს ომბუდსმენთან¹⁷ და არასამთავრობო ორგანიზაციებთან¹⁸.

¹⁶ <http://www.npm.kg/%D0%BA%D0%BE%D0%B3%D0%BE-%D0%BC%D1%8B-%D0%BE%D0%B1%D1%8F%D0%B7%D0%B0%D0%BD%D1%8B-%D0%BC%D0%BE%D0%BD%D0%B8%D1%82%D0%BE%D1%80%D0%B8%D1%82%D1%8C;>

¹⁷ ორ უწყებას შესაძლებლობა აქვს, გააკეთოს ერთობლივი განცხადებები არასათანადო მოპყრობის თაობაზე და დახურულ დაწესებულებებში არსებულ პრობლემატიკაზე.

¹⁸ <http://www.npm.kg/prevention-of-torture-ru/partners-ru;>

1.7 ბოლივია

2006 წელს მოხდა OPCAT-ის რატიფიკაცია. 2013 წლის 30 დეკემბრის კანონით¹⁹ შეიქმნა წამების პრევენციის სამსახური, საჯარო დეცენტრალიზებული ორგანო, რომელიც ექვემდებარება იუსტიციის სამინისტროს და ასრულებს წამების პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროს დაევალა პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის საჭირო ფინანსების გამოყოფა. აღმასრულებელ ხელისუფლებას დაევალა ამ კანონის გამოქვეყნებიდან 90 დღეში კანონქვემდებარე აქტის²⁰ გამოცემა, რომლითაც განისაზღვრა წამების პრევენციის სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციონირების წესები. აღნიშნული კანონქვემდებარე აქტი 2014 წლის აგვისტოში იქნა მიღებული.

წამების პრევენციის სამსახურს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს მინისტრი. სამსახურის ხელმძღვანელი უნდა იყოს პროფესიით იურისტი და ჰქონდეს ადამიანის უფლებათა ან სისხლის სამართლის სფეროში 5 წლის გამოცდილება.

პრევენციის სამსახურის მანდატი ვრცელდება ნებისმიერ დაწესებულებაზე, სადაც შესაძლებელია განთავსებული იყვნენ თავისუფლება აღკვეთილი პირები ან განხორციელდეს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები. მას აქვს თავისუფალი დაშვება დღე-ღამის ნებისმიერ დროს ზემოაღნიშნულ დაწესებულებებში. პრევენციის სამსახურის სხვა ფუნქციებში შედის შესაბამისი ორგანოებისთვის რეკომენდაციების მიწოდება, საკანონმდებლო წინადადებების მომზადება და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება. არასათანადო მოპყრობის ფაქტების აღმოჩენის შემთხვევაში, წამების პრევენციის სამსახური შესაბამის ინფორმაციას და დოკუმენტაციას გადასცემს საგამოძიებო ორგანოებს. ამასთან, წამების ფაქტების არსებობისას, სამსახურს შეუძლია, საქმეში ჩაერთოს, როგორც მხარე, ასევე, თვალისადაცვლის გამოძიებას და სასამართლო პროცესებს;

¹⁹ http://www.aptr.ch/content/files/npm/americas/Bolivia_NPM%20Law%20474%20of%2030%20Dec%202014.pdf;

²⁰ http://www.aptr.ch/content/files/npm/americas/Bolivia_Decreto%20MNP_agosto2014.pdf;

წამების პრევენციის სამსახური ვალდებულია არ გამოაქვეყნოს პერსონალური ინფორმაცია სპეციალური თანხმობის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს ან საზოგადოებას ემუქრება სერიოზული და მყისიერი საფრთხე.

დეკრეტის თანახმად, ყველა იმ დაწესებულების თანამშრომელი, რომლებზეც ვრცელდება პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი, ვალდებულია ითანამშრომლოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებთან.

1.8 გვატემალა

გვატემალამ OPCAT-ის რატიფიკაცია 2008 წელს მოახდინა. 2010 წლის ნოემბერში მიიღეს კანონი, რომლითაც შეიქმნა ახალი ორგანო – წამების პრევენციის ეროვნული ოფისი. 2014 წლის მარტში შეირჩინენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს, ადამიანის უფლებათა კომისიის წარდგინების საფუძველზე, 5 წლის ვადით ირჩევენ პარლამენტი. კანონის თანახმად, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრი არ შეიძლება იყოს საჯარო მოხელე, უმაღლესი თანამდებობის პირი ან მისი ოჯახის წევრი, არ უნდა იკავებდეს წამყვან თანამდებობას პოლიტიკურ პარტიაში, არ უნდა იყოს სამხედრო ან სასულიერო პირი, არ უნდა იყოს ნასამართლელი ადამიანის უფლებათა დარღვევისთვის არც გვატემალაში და არც მის საზღვრებს გარეთ.

წამების პრევენციის ეროვნულ ოფისს ჰყავს სამდივნო და საკონსულტაციო საბჭო. ოფისი შედგება 10 წევრისგან. მათგან 5 წევრი არის მუდმივი, ხოლო დანარჩენი 5 – სარეზერვო.

2015 წელს წამების პრევენციის ოფისის ბიუჯეტი შეადგენდა 1 200 000 დოლარს. წამების პრევენციის ეროვნული ოფისი განსაზღვრავს საკუთარი ბიუჯეტის ოდენობას და თავად განკარგავს მას.

წამების პრევენციის ოფისს ხელი მიუწვდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ეხება თავისუფლებააღკვეთილი პირების რაოდენობას, მათ მიმართ მოპყრობას, ასევე, თავისუფლებააღკვეთის ადგილების რაოდენობასა და მდებარეობას. ოფისის წევრებს შეუძლიათ თა-

ვისუფლად შევიდნენ და გადაადგილდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, ჩაატარონ კონფიდენციალური ინტერვიუები თავისუფლებააღკვეთილ პირებთან ან იმ პირებთან, ვინც ფლობს მათთვის საინტერესო ინფორმაციას. წამების პრევენციის ოფისი გასცემს რეკომენდაციებს და ამზადებს ვიზიტების შედეგების ამსახველ ანგარიშებს. ოფისი ახორციელებს ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს.

სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს იმ პირთა კონფიდენციალობა, რომლებიც ინფორმაციას აწვდიან წამების პრევენციის ეროვნულ ოფისს. არანაირი სანქცია არ შეიძლება გამოიყენონ იმ პირთა მიმართ, ვინც პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრებს აწვდის ცრუ ან მართალ ინფორმაციას.

საკონსულტაციო საბჭო შედგება 5 წევრისგან, რომლებსაც წამების პრევენციის ეროვნული ოფისი, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენელ კანდიდატურათა შორის ირჩევს 3 წლის ვადით.

საკონსულტაციო საბჭოს ფუნქციებში შედის ეროვნული ოფისისთვის რეკომენდაციის მიცემა საქმიანობის მეთოდოლოგიაზე და წლიურ გეგმაზე. საჭიროების შემთხვევაში, ოფისის მოთხოვნით, საბჭო გამოთქვამს მოსაზრებებს კონკრეტულ საქმეებზე ან განსაკუთრებულ შემთხვევებზე.

1.9 პარაგვაი

პარაგვაიში OPCAT-ის რატიფიკაცია მოხდა 2005 წლის 02 დეკემბერს. 2011 წლის აპრილში მიიღეს კანონი²¹, რომლითაც შეიქმნა ახალი ორგანო – პრევენციის ეროვნული კომისია, რომელსაც მიენიჭა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი.

პრევენციის ეროვნული კომისია შედგება 9 წევრისგან. მის შემადგენლობაში შედიან სამედიცინო და სამართლის სფეროს, ასევე, სოციალური დარგის წარმომადგენლები. კომისიის წევრები უნდა იყვნენ პარაგვაის მოქალაქეები და მუდმივად უნდა ცხოვრობდნენ ქვეყანაში. მათ უნდა ჰქონდეთ გამოცდილება OPCAT-ით გათვალისწინებულ სფე-

²¹ http://www.aptr.ch/content/files/npm/americas/Paraguay_NPM%20Law%204288-2011.pdf;

როებში, სარგებლობდნენ ავტორიტეტით ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და არ უნდა იყვნენ ნასამართლავი. წევრების შერჩევისას დაცული უნდა იყოს გენდერული ბალანსი.

პრევენციის ეროვნული კომისიის წევრებს ირჩევს შესარჩევი ორგანო (organo selector), რომლის 1 წევრს ირჩევს ეროვნული კონგრესი, 1 წევრს – აღმასრულებელი ხელისუფლება, 1 წევრს – უზენაესი სასამართლო და 3 წევრს ასახელებენ არასამთავრობო ორგანიზაციები. პრევენციის ეროვნული კომისიის წევრები და შესარჩევი ორგანოს წევრები არჩეულები არიან 5 წლის ვადით. პრევენციის ეროვნული კომისიის წევრის მანდატი არ არის განახლებადი. ისინი სარგებლობენ OPCAT-ის 35-ე მუხლით გათვალისწინებული იმუნიტეტით.

პრევენციის ეროვნულ მექანიზმში ასევე შედიან მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება, არ მუშაობენ საჯარო სამსახურში. ისინი კომისიის მიერ შეირჩევიან კონკრეტული ფუნქციების შესასრულებლად და სარგებლობენ კომისიის წევრების უფლებამოსილებებით. მოქალაქეები იღებენ ანაზღაურებას შესრულებული სამუშაოს მიხედვით. კომისიას ასევე დახმარებას უწევს ტექნიკური პერსონალი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები - პრევენციის ეროვნული კომისია თავის პრიორიტეტად ასახელებს გარკვეული პროექტების და პროგრამების შესრულებას, რომელთა განხორციელებას ანდობს არასამთავრობო ორგანიზაციებს.

პრევენციის ეროვნული კომისია ადგენს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებების მონიტორინგის პროგრამას, გეგმავს და ახორციელებს ვიზიტებს წინასწარი შეტყობინების გარეშე. მას ხელი მიუწვდება ნებისმიერი სახის ინფორმაციაზე, რომელიც შეეხება თავისუფლებააღკვეთილ პირს და მისი დაკავების პირობებს. კომისია გასცემს რეკომენდაციებს შესაბამისი ორგანოების მისამართით, ასევე, შეუძლია ამ ორგანოების წარმომადგენლის გამოძახება ზეპირი ახსნა-განმარტებისთვის. კომისიას შეუძლია საჯარო მოხელეებისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. კომისია წარადგენს წინადადებებს და შენიშვნებს კანონმდებლობის დახვეწის მიზნით. კომისია შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამებს. კანონი მას ავალდებულებს სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფას პრევენციის

ეროვნული მექანიზმის წლიური საქმიანობის დაგეგმვაში, წლიური ბიუჯეტის შემუშავებაში, საჯარო მოსმენების და დისციპლინური სანქციების განხორციელებაში.

2014 წლისთვის კომისიის ბიუჯეტი შეადგენდა დაახლოებით 950 000 ამერიკულ დოლარს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმი ახორციელებს გეგმიურ, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის და ad hoc ვიზიტებს²² (მაგალითად, არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ საჩივრის მიღების შემთხვევაში). ყოველი ვიზიტის შემდგომ მზადდება ანგარიში, რომელიც ეგზავნება დაწესებულების პასუხისმგებელ პირს და დაწესებულების ზედამხედველ ორგანოს. ანგარიში ქვეყნდება პრევენციის ეროვნული მექანიზმის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. ასევე, ქვეყნდება წლიური ანგარიში. ყოველივე ვიზიტის შემდეგ მზადდება რეკომენდაცია, რომელიც 8 დღის ვადაში ეგზავნება შესაბამის ორგანოს. კანონის თანახმად, ეს ორგანოები კი ვალდებული არიან შეასრულონ რეკომენდაციები.

1.10 ჰონდურასი

ჰონდურასში OPCAT-ის რატიფიკაცია მოხდა 2006 წელში. 2008 წლის 5 დეკემბერს მიღებული იქნა კანონი²³, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ახალი ორგანო – წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტი და მიენიჭა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი. 2011 წლის ოქტომბერში მიღებული იქნა ზოგადი რეგულაციები²⁴ (კანონქვემდებარე აქტი), რომელიც გასაზღვრავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის შიდა ორგანიზაციულ მოწყობას.

კომიტეტი შედგება სამი წევრისგან, რომლებიდანაც თითო დასახელებულია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების და

²² მონიტორინგი ხორციელდება: პენიტენციურ, არასრულწლოვანთა, პოლიციის და სამხედრო დაწესებულებებში, შშმ პირების და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში, ბავშვთა და მოხუცების თავშესაფრებში. დაკავების და მიგრანტთა ცენტრებში, ასევე, ნებისმერ ადგილას, სადაც შესაძლებელია, ადამიანებს შეეზღუდოთ ან აღეკვეთოთ თავისუფლება;

²³ http://www.aprt.ch/content/files/npm/americas/Honduras_NPM%20Law.pdf;

²⁴ http://www.aprt.ch/content/files/npm/americas/Honduras_NPM%20Regulations.pdf;

სამოქალაქო საზოგადოების მიერ. ისინი ინიშნებიან 3 წლის ვადით. კომიტეტმა მუშაობა 2010 წლის სექტემბრიდან დაიწყო.

კანონის თანახმად, კომიტეტის წევრებს ეკრძალებათ კერძო და საჯარო სამსახურში მუშაობა. წევრებს შორის თავმჯდომარეობისა და სამდივნოს ფუნქციები გადადის როტაციის წესით. კომიტეტის წევრი უნდა იყოს ჰონდურასის მოქალაქე, 30 წელზე მეტის, ჰქონდეს საუნივერსიტეტო განათლება, რომელიც OPCAT-ის მიზნებს შეესაბამება და ჰქონდეს ხუთწლიანი გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში.

კომიტეტის წევრი არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც პოლიტიკურ პარტიაში აქვს წამყვანი თანამდებობა, არის ნასამართლევი, რესპუბლიკის პრეზიდენტი ან ვიცე პრეზიდენტი, უზენაესი სასამართლოს მოსამართლე, სახელმწიფო მდივანი, სახელმწიფო ადმინისტრაციის ერთეულების მთავრობის წევრი, აქტიური ან ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, სასულიერო პირი.

კომიტეტს აქვს უფლებამოსილება, გამოითხოვოს ნებისმიერი ინფორმაცია მისთვის საინტერესო საკითხებზე, ჩაატაროს მონიტორინგი დახურულ ინსტიტუტებში, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენლებს მოსთხოვოს მხარდაჭერა, გასცეს რეკომენდაციები, მიიღოს მონაწილეობა კანონშემოქმედებით პროცესში, მიაწოდოს ინფორმაცია შესაბამის ორგანოებს წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ, შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი კერძო ან იურიდიული პირისგან, ჩაატაროს საგანმანათლებლო და ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, განსაზღვროს ბიუჯეტი²⁵.

კომიტეტი ატარებს 3 ტიპის ვიზიტს – პრევენციულ, რეგულარულ²⁶ და ad hoc²⁷ ვიზიტებს. მონიტორინგის ჩატარების ხანგრძლივობა დამოკიდებულია დაწესებულების ტიპზე. ვიზიტი ტარდება წინასწარი გაფრთხილების გარეშე. მონიტორინგის დროს კომიტეტის წევრები კონფიდენციალურად ესაუბრებიან როგორც თავისუფლებათა დაცვითი პირებს, ასევე თანამშრომლებს, ამოწმებენ დოკუმენტაციას. ყოველი

²⁵ კომიტეტის 2015 წელს ბიუჯეტი შეადგენდა 310 000 ამერიკული დოლარს. ამას გარდა, კომიტეტი იღებს დაფინანსებას საერთაშორისო სააგენტოებიდან;

²⁶ მოწმდება რეკომენდაციების შესრულება;

²⁷ წამების და არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემთხვევაში;

ვიზიტის შემდეგ მზადდება ანგარიში, რომელიც ხელმისაწვდომია კომიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

კომიტეტი ასევე ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს აღმასრულებელ ხელისუფლებას, საკანონმდებლო ორგანოს და არასამთავრობო ორგანიზაციებს.

2014 წლის ივნისის მდგომარეობით კომიტეტის სამდივნოში მუშაობდა 11 თანამშრომელი, თუმცა შემდგომ გაიხსნა რეგიონული ოფისი და დამატებით სამი თანამშრომელი იქნა დაქირავებული.

ადამიანური რესურსების ნაკლებობასთან გასამკლავებლად კომიტეტი იყენებს ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე ექსპერტებს (ექიმები, ფსიქოლოგები). ამავე მიზნით ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები. ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს ადგილობრივი პრევენციული საბჭოები, რომლებიც შედგება მოხალისეებისგან.

წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტის მუშაობას მეთვალყურეობას უწევს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც 2011 წლიდან ფუნქციონირებს. მასში შედის ეროვნული კომიტეტის პრეზიდენტი, ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის (ომბუდსმენის ოფისი) ერთი წარმომადგენელი, ადამიანის უფლებათა სპეციალური პროკურორის ერთი წარმომადგენელი, სასამართლო სისტემის ერთი წარმომადგენელი და ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის ორი წარმომადგენელი. საბჭოს წევრები ინიშნებიან 3 წლის ვადით და გადაწყვეტილებას იღებენ უბრალო უმრავლესობით.

საკონსულტაციო საბჭოს ძირითადი ფუნქციებია ეროვნული კომიტეტისთვის, მისი ფუნქციონირების გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების მიცემა და კვლევების წარმოება.

2. მრავლობითი ორგანოები პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესასრულებლად

2.1 ახალი ზელანდია

2007 წლის მარტში ახალ ზელანდიაში მოხდა OPCAT-ის რატიფიცირება და 5 არსებული ინსტიტუცია დაასახელდა პრევენციის ეროვნულ

ნული მექანიზმის მანდატის შემსრულებლად. 2006 წლის 5 დეკემბრის ცვლილებით „წამების დანაშაულის შესახებ“ კანონს²⁸ დაემატა მეორე ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს პრევენციის ეროვნული მექანიზმის უფლებამოსილებებს და მანდატს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობას კოორდინაციას უწევს ადამიანის უფლებათა კომისია²⁹, რომელიც ამჟამად არის ცენტრალური პრევენციის ეროვნული მექანიზმი. ცენტრალური პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციაში შედის პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობის კოორდინაცია და SPT-სთან მუშაობის წარმართვა. კომისიის გარდა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი აქვთ: ომბუდსმენს³⁰, პოლიციის მაკონტროლებელ დამოუკიდებელ ორგანოს³¹, ბავშვთა კომისარს და თავდაცვის მონიტორინგის ოფიცრებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მფლობელ ორგანოს აქვს უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს შეამოწმოს თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობა და მათ მიმართ მოპყრობა, გაცეს რეკომენდაციები შესაბამისი ორგანოების მიმართ, მოამზადოს სულ მცირე 1 წლიური ანგარიში. ის ორგანიზაციები, რომლებიც ექვემდებარებიან პარლამენტს, ანგარიშს აბარებენ პარლამენტს, ხოლო მინისტრის დაქვემდებარებაში არსებული ორგანიზაციები ანგარიშს ამზადებენ მინისტრისთვის. პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეუძლია მოიპოვოს ინფორმაცია, რომელიც ეხება განთავსების პირობებს, თავისუფლებააღკვეთილ პირთა რაოდენობას და მათ მიმართ მოპყრობას.

2.2 ნიდერლანდები

ნიდერლანდებში³² OPCAT-ის რატიფიკაცია 2010 წლის 28 სექტემბერს მოხდა. 2011 წლის დეკემბერში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მან-

²⁸ <http://www.2ohchr.org/english/bodies/cat/opcat/docs/NPM/NewZealand.pdf>;

²⁹ <https://www.hrc.co.nz/about/>;

³⁰ <http://www.ombudsman.parliament.nz/?CID=100117>;

³¹ <http://www.ipca.govt.nz/>;

³² http://www.google.com/url?q=http%3A%2F%2Fwww.apr.ch%2Fen%2Fopcat_pages%2Fnpm-designation-48%2F%3Fpdf%3Dinfo_country&sa=D&sz=1&usg=AFQjCNGHJhmL-N7WxVTdFPZJOaAaK8_UkA

დატი მიენიჭა 6 ორგანოს. საბოლოო ჯამში, 2 ორგანო (რეპატრიაციის ზედამხედველობის კომისია და სასჯელის აღსრულების ინსპექტორატი) შეუერთდა უსაფრთხოების და სამართლის ინსპექტორატს³³, რომელიც, თავის მხრივ, ახორციელებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის კოორდინატორის ფუნქციებს. ამას გარდა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი მინიჭებული აქვს ჯანდაცვის ინსპექტორატს, ახალგაზრდებზე ზრუნვის ინსპექტორატს და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ადმინისტრირებისა და არასრულწლოვანთა დაცვის საბჭოს.

2014 წლის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში ნათქვამია, რომ ომბუდსმენმა უკმაყოფილება გამოთქვა პრევენციის ეროვნული მექანიზმის ქსელის მუშაობის მეთოდოლოგიით და დატოვა პრევენციის ეროვნული მექანიზმი.

უსაფრთხოების და სამართლის ინსპექტორატი შედგება 59 თანამშრომლისგან. აქედან 10 თანამშრომელი მუშაობს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიმართულებით და კოორდინაციას უწევს პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობას.

ჯანდაცვის ინსპექტორატი შედგება 537 თანამშრომლისგან და აქედან 30 ჩართულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში.

ახალგაზრდებზე ზრუნვის ინსპექტორატი შედგება 45 თანამშრომლისგან, საიდანაც 23 ინსპექტორი ჩართულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ადმინისტრირებისა და არასრულწლოვანთა დაცვის საბჭო შედგება 60 წევრისგან და ისინი ჩართული არიან პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში.

აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილ ორგანოებს სახელმწიფომ არ გამოუყო დამატებითი სახსრები, რაზეც არსებობს უკმაყოფილება მათი მხრიდან.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ყოველ შემადგენელ ორგანოს აქვს მუშაობის განსხვავებული მეთოდოლოგია.

უსაფრთხოების და სამართლის ინსპექტორატი ატარებს რამდენიმე სახის მონიტორინგს:

³³ http://www.ivenj.nl/english/national_preventive_mechanism_npm/;

I ტიპი – დაწესებულების ზოგადი დათვალიერება, რომელიც, როგორც წესი, რამდენიმე კვირა გრძელდება.

II ტიპი – სპეციფიკური ასპექტების მონიტორინგი (მაგალითად, მხოლოდ სამართო საკნები).

III ტიპი – კონკრეტულ ქეისზე რეაგირება.

IV ტიპი – გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

2013 წლიდან ინსპექტორატის ვიზიტები ხორციელდება შეტყობინების გარეშე ან დაწესებულებას შეტყობინება ეგზავნება ვიზიტამდე ძალიან მოკლე ხნით ადრე.

ჯანდაცვის ინსპექტორატი ახორციელებს ვიზიტებს მხოლოდ კონკრეტული დარღვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისას.

ახალგაზრდებზე ზრუნვის ინსპექტორატი ამოწმებს ბავშვთა და არასარულწლოვანთა სახლებს, როგორც პრევენციული, ასევე, კონკრეტულ დარღვევებზე რეაგირების კუთხით.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ადმინისტრირებისა და არასარულწლოვანთა დაცვის საბჭო ამოწმებს ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას. მონიტორინგი არის პრევენციული ხასიათის და მიზნად ისახავს ზოგადი ანალიზის გაკეთებას. საბჭოს წევრები ინფორმაციას იღებენ როგორც ვიზიტების დროს, ასევე სხვადასხვა წყაროებიდან (მაგ. ექსპერტებთან შეხვედრებით, სხვადასხვა კვლევებიდან). მათ შესაძლებლობა აქვთ გასცენ შესაბამისი რეკომენდაციები. ყოველწლიურად ატარებენ კონფერენციას, სადაც მიწვეულნი არიან როგორც შესაბამისი უწყებების წარმომადგენლები, ასევე სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების წარმომადგენლები. კონფერენციაზე განიხილება საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და მიმდინარეობს დისკუსია პრობლემის გადასაჭრელად.

ნიდერლანდებში ასევე ფუნქციონირებს ოთხი პრევენციის ეროვნული მექანიზმთან ასოცირებული ორგანო, თუმცა მათ არ გააჩნიათ პრევენციის ეროვნული მექანიზმის სტატუსი. ეს ორგანოებია:

1. პენიტენციური დაწესებულებების ინსპექტირების კომისია, რომელიც შედგება 71 კომისიისგან. თითოეული მათგანი დაკავშირებულია თითო პენიტენციურ დაწესებულებასთან. კომისიის ფუნქ-

ციებში შედის დაწესებულებების შემოწმება, საჩივრების განხილვა, რეკომენდაციებისა და ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისთვის. კომისია შედგება სამოქალაქო პირებისგან და რამდენიმე ექსპერტისგან. სავალდებულოა ექსპერტთა ჯგუფში შედიოდეს 1 მოსამართლე, 1 ადვოკატი, 1 სამედიცინო ექსპერტი და 1 სოციალური მუშაკი. კომისია შედგება დაახლოებით 10 წევრისგან, რომლებიც ინიშნებიან 5 წლის ვადით. ისინი ყოველწლიურად წარუდგენენ ანგარიშს უსაფრთხოებისა და იუსტიციის მინისტრს.

2. ნიდერლანდებში არის პოლიციის განყოფილებების ინსპექტირების 25 კომისია. თითოეული რეგიონისთვის თითო კომისია მუშაობს. ისინი ამოწმებენ პოლიციის განყოფილებებში პირთა მიმართ მოპყრობას, მათი განთავსების პირობებს და უსაფრთხოებას. მათ შესაძლებლობა აქვთ, პოლიციის განყოფილების უფროსს მიაწოდონ შესაბამისი რეკომენდაცია. თითოეულ კომისიაში შედის სამიდან შვიდ წევრამდე და ჰყავთ სამდივნო. ყოველი ვიზიტის შემდეგ მზადდება წერილობითი ანგარიში ასევე, წლის ბოლოს წლიური ანგარიში, რომელიც განიხილება პოლიციის უფროსთან და პოლიციის რეგიონულ ხელმძღვანელობასთან. ანგარიში ქვეყნდება პრესის საშუალებით.
3. სამხედრო დაკავების ადგილების ინსპექტირების კომისია შედგება 4 წევრისგან და ჰყავს სამდივნო. იგი ამზადებს წლიურ ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს ჯარების მთავარსარდალს.
4. ომბუდსმენი დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ინდივიდუალური საჩივრები საჯარო უწყებების წინააღმდეგ და მოახდინოს შესაბამისი რეაგირება. ომბუდსმენის აპარატში მუშაობს 170 თანამშრომელი.

2.3 დიდი ბრიტანეთი

დიდ ბრიტანეთში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს ასრულებს 20 ორგანო³⁴. დიდმა ბრიტანეთმა OPCAT-ის რატიფიცირე-

³⁴ <https://www.justiceinspectorates.gov.uk/hmiprisons/national-preventive-mechanism/>

ბა მოახდინა 2003 წლის დეკემბერში. 2009 წლის მარტში დასახელდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის განმახორციელებელი ოგანოები. 2009–2013 წლებში, საბოლოოდ განისაზღვრა 20 ორგანო პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციის შესასრულებლად.

იმის გამო, რომ დიდ ბრიტანეთში პრევენციის ეროვნული მექანიზმების სისტემა არის რთული და რაოდენობრივად ბევრი, დიდი ბრიტანეთის პენიტენციური სისტემის ხელმძღვანელი უწევს კოორდინაციას პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობას, წლიური ანგარიშის მომზადებას და ორგანოების ერთმანეთთან თანამშრომლობას.

თავად კოორდინაციის ფუნქციის შესრულებას, აქტივობების და პრევენციის ეროვნული მექანიზმების მართვას ზედამხედველობას უწევს ზედამხედველობის ჯგუფი, რომელიც შედგება პრევენციის ეროვნული მექანიზმების 5 წევრისგან.

დიდი ბრიტანეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმები წელიწადში ორჯერ იკრიბებიან, რა დროსაც უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და საუკეთესო პრაქტიკას³⁵.

ვინაიდან ამ ორგანოების ფუნქციები და უფლებამოსილებები პრაქტიკულად იდენტურია, აქ მხოლოდ რამდენიმე მათგანს განვიხილავთ.

2.3.1 წინასწარი დაკავების ადგილების მონიტორინგი

ინგლისში წინასწარი დაკავების ადგილების ვიზიტორები არიან ადგილობრივი მოხალისეები, რომლებიც ახორციელებენ ვიზიტებს პოლიციის განყოფილებებში, სადაც განთავსებულები არიან დაკავებულები. მათ შესაძლებლობა აქვთ, თავისუფლად ჩაატარონ მონიტორინგი პოლიციის განყოფილებებში, რაც მოიცავს დაკავებულ პირებთან შეხვედრას, დაკავებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და საყოფაცხოვრებო პირობების შემოწმებას, ასევე, საკვების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს.

პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მფლობელი **წინასწარი დაკავების ადგილების მონიტორინგის დამოუკიდებელი ასოცი-**

³⁵ http://icva.org.uk/uploads/publications/1362_NPM_AR2014-15_FINAL_121115_WEB.pdf

აცის³⁶ როლია უზრუნველყოს დამოუკიდებელი მონიტორების უნარ-ჩვევების განვითარება, ტრენინგების ჩატარება, რათა მათი ვიზიტები მაქსიმალურად ეფექტური გახადოს. აქვე აღსანიშნავია, რომ მონიტორისთვის არ არის სავალდებულო რაიმე განსაკუთრებული კვალიფიკაციის ქონა. ასოციაცია 2 წელიწადში ერთხელ გამოსცემს პრევენციის ეროვნული მექანიზმების მუშაობის ეროვნულ სტანდარტებს.

ვიზიტორების შერჩევის ძირითადი კრიტერიუმები: კანდიდატი უნდა იყოს 18 წელს ზემოთ, კარგად უნდა ფლობდეს ინგლისურ ენას, არ უნდა იყოს მოსამართლე, საჯარო მოხელე, არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე პირებთან მიმართებაში. ნასამართლეობა ავტომატურად არ წარმოადგენს დამბრკოლებელ გარემოებას და ყველა მონიტორის განაცხადი ფასდება ინდივიდუალურად. კანდიდატები გასაუბრებას გადიან ადგილობრივ პოლიციის კომისართან.

ვიზიტორები იღებენ მინიმალურ ანაზღაურებას მონიტორინგის დროს გაწეული ხარჯების დასაფარად.

შოტლანდიაში წინასწარი დაკავების ადგილების ვიზიტორებს 2013 წელს მიენიჭა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატი. მანამდე წარმოადგენდა წინასწარი დაკავების ადგილების მონიტორინგის დამოუკიდებელი ასოციაციის ნაწილს. შოტლანდიაში ამჟამად წინასწარი დაკავების ადგილების ვიზიტორად შერჩეულია 132 პირი. მათი შერჩევის წესი იგივეა, რაც ინგლისში.

წინასწარი დაკავების ადგილების ვიზიტორები ჩრდილოეთ ირლანდიაში იმავე ფუნქციებს ასრულებენ, რომელსაც ინგლისსა და შოტლანდიაში. 2014–2015 წლებში სულ იყო 41 ვიზიტორი.

2.3.2 დამოუკიდებელი მონიტორინგის საბჭოები³⁷

დიდ ბრიტანეთში ყველა ციხეს და ყველა მიგრანტთა დაკავების ადგილს ყავს საკუთარი მონიტორინგის საბჭო (სულ – 140).

³⁶ <http://icva.org.uk/>;

³⁷ <http://www.imb.org.uk/wp-content/uploads/2015/01/information-about-imb.pdf>

თითოეული საბჭო შედგება 10-20 წევრისგან. ამჟამად არის 1700-ზე მეტი მონიტორი. მათი დანიშვნა შესაძლებელია მაქსიმუმ 15 წლის ვადით. მონიტორი, როგორც წესი, უნდა ცხოვრობდეს დაწესებულებიდან 20 მილის რადიუსში. მონიტორებს ნებისმიერ დროს აქვთ შესაძლებლობა, გაუფრთხილებლად განახორციელონ მონიტორინგი. საბჭოს წევრობისთვის არ მოითხოვება განსაკუთრებული კვალიფიკაცია და მონიტორინგის საბჭო თავად უზრუნველყოფს 12 თვიან ტრენინგს თითოეული მონიტორისთვის. პრაქტიკაში მონიტორინგი ხორციელდება ყოველთვიურად 2-3 დღის განმავლობაში. მონიტორები არ იღებენ ხელფასს, თუმცა გარკვეული ხარჯები უნაზღაურდებათ.

2.3.3 გარე დამკვირვებლები

გარე დამკვირვებლები წარმოადგენენ მონიტორთა ჯგუფს, რომლებიც ამოწმებენ პატიმართა/თავისუფლებაშემზღვეულ პირთა ტრანსპორტირების, ასევე, სასამართლოებში მათი განთავსების პირობებს.

2.4 მალტა

პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციების შესრულების მიზნით შექმნილია ორი ბორდისაბჭო – ციხეების ვიზიტორების და დაკავებული პირების ვიზიტორების საბჭო.

2.4.1 ციხეების ვიზიტორების საბჭო³⁸

საბჭო ამოწმებს პატიმრების მიმართ მოპყრობას; ციხის ინფრასტრუქტურის მდგომარეობას და ციხის მართვას; ასევე იკვლევს ციხის პირობების ზეგავლენას პატიმრის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ის მონიტორინგს უწევს ციხის დისციპლინურ სისტემას და ამის შესახებ აცნობებს მინისტრს; ასევე უფლება აქვს დაესწროს ბე-

³⁸ „ციხის რეგულაციების“ მეოთხე თავი ეხება ციხეების ვიზიტორების ბორდს:
<http://www.aptc.ch/content/files/npm/eca/Malta2.pdf>

პირ მოსმენას პატიმრის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დროს. საბჭო აძლევს რჩევებს მინისტრს იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია პატიმრებზე ზრუნვასა და მათ რეაბილიტაციასთან, ასევე, ციხეების და ციხეებში არსებული სერვისების გაუმჯობესებასთან. საბჭო ანგარიშს ამზადებს ნებისმიერ საკითხზე თავისი ინიციატივით ან/და მინისტრის მოთხოვნით.

საბჭოს წევრები ერთმანეთს ხვდებიან სულ მცირე თვეში ერთხელ. თუ საბჭოს წევრი 4-ჯერ ზედიზედ არ დაესწრო შეკრებას ის გარიცხულად ითვლება. საბჭოს წევრები გადაწყვეტილებას იღებენ ჩვეულებრივი უმრავლესობით. საბჭოს მოთხოვნით შეკრებას უნდა დაესწროს დაწესებულების დირექტორი და გასცეს პასუხი მათ მიერ დასმულ კითხვებზე.

საბჭომ ციხის მონიტორინგი უნდა ჩაატაროს სულ მცირე თვეში ერთხელ და რეგულარულად მონახულოს ყოველი პატიმარი მის სამუშაო ან განთავსების ადგილას ან/და სხვა ნებისმიერ ადგილას, სადაც საბჭო საჭიროდ ჩათვლის. ასევე, საბჭოს მოთხოვნის შემთხვევაში, პატიმართან შეხვედრას შესაძლებელია დაესწროს დაწესებულების დირექტორი ან ციხის სხვა თანამშრომელი. ვიზიტი ან ინსპექტირება შეიძლება ჩატარდეს მინიმუმ სამი საბჭოს წევრის მიერ, წინასწარ შეტყობინების გარეშე, დღე-ღამის ნებისმიერ დროს.

იმ შემთხვევაში, თუ პატიმარი მიუთითებს არასათანადო მოპყრობაზე, საბჭოს წევრები პატიმართან ინტერვიუს გამართავენ მათ მიერ შერჩეულ ადგილას კონფიდენციალურად, დირექტორის ან/და სხვა პირების თანდასწრების გარეშე.

არანაირი სანქცია არ შეიძლება იქნეს გამოყენებული იმ პირისა და ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელიც საბჭოს მიაწოდებს მართალ თუ ტყუილ ინფორმაციას.

პატიმრის საჩივარი არასათანადო მოპყრობის თაობაზე დაუყოვნებლივ განიხილება. საბჭოს შეუძლია, შესაბამის ორგანოს მისცეს რეკომენდაცია ციხის თანამშრომლის დისციპლინური დასჯის თაობაზე.

ციხის დირექტორი არ არის ვალდებული, გაიზიაროს საბჭოს რეკომენდაცია, თუმცა ვალდებულია, განიხილოს და ერთი თვის ვადაში

აცნობოს პასუხი მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. პასუხის ასლი ეგზავნება მინისტრს, რომელიც ან დაეთანხმება დირექტორის პოზიციას ან შეცვლის მას.

არცერთი პირი, ვისაც რაიმე შეხება აქვს ციხეში სერვისების მიწოდებასთან ან/და პროდუქციასთან, არ შეიძლება იყოს საბჭოს წევრი. პირი, რომელსაც პატიმართან ნათესაური კავშირი აქვს, არ უნდა დაესწროს ამ პატიმრის საკითხის განხილვას.

საბჭო წლიურ ანგარიშს აბარებს მინისტრს. პერსონალური მონაცემები არ შეიძლება გამჟღავნდეს პირის თანხმობის გარეშე.

2.4.2 დაკავებულ პირთა მონახულების საბჭო³⁹

დაკავებულ პირთა მონახულების საბჭოს უფლებამოსილებები იგივეა, რაც ციხის მონიტორინგის საბჭოსი. საბჭო შედგება თავმჯდომარის, მდივნის და მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 8 წევრიგან, რომლებსაც 1 წლის ვადით ნიშნავს იმიგრაციის მინისტრი.

³⁹ <https://www.gov.mt/en/Government/Government%20of%20Malta/Ministries%20and%20Entities/Officially%20Appointed%20Bodies/Pages/Boards/Board-of-Visitors-for-Detained-Persons.aspx>

ნაწილი მეორე

საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციონირების სხვადასხვა ასპექტები

1. სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციები და უფლებამოსილებები

1.1 არასამთავრობო ორგანიზაციების შერჩევა

1.1.1 შერჩევის კრიტერიუმები

თავისუფლების შეზღუდვისა და აღკვეთის დაწესებულებების ფუნქციონირების სპეციფიკა მოითხოვს, რომ იქ დაშვება ჰქონდეთ მხოლოდ იმ ორგანიზაციებს და პირებს, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ ამ დაწესებულებების დანიშნულება და თავისებურებები. პენიტენციური დაწესებულებების მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ ერთი მხრივ, ამ დაწესებულებების დანიშნულებაა იქ განთავსებული პირებისთვის სასჯელის მოხდის პერიოდში კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში უფლებების დაცვა, ხოლო მეორე მხრივ, იმ რისკების განსაზღვრა და პრევენცია, რომლებსაც შესაძლოა, საზოგადოებისთვის წარმოადგენდნენ ისინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია შემუშავდეს ობიექტური და ადეკვატური კრიტერიუმები, რომლებიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი მონიტორინგის დანიშნულების თანხვედრას დაწესებულების ფუნქციონირების სპეციფიკასთან.

პირველ რიგში, აუცილებელია, არასამთავრობო ორგანიზაცია ფლობდეს შესაბამის *გამოცდილებას* იმ სფეროში, რომელსაც დაწესებულება განეკუთვნება. გამოცდილების არსებობა შეიძლება გულისხმობდეს წარსულში ორგანიზაციის მიერ განხორციელებულ პროექტებს

აღნიშნულ სფეროში. მის მიერ ჩატარებული კვლევები, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა და სხვა მსგავსი აქტივობები შესაძლოა ასევე ჩაითვალოს გარკვეულ გამოცდილებად. ასევე შესაძლებელია ორგანიზაციის ცალკეული წევრები წარსულში მონაწილეობდნენ სხვა მონიტორინგის მექანიზმის/მექანიზმების მუშაობაში, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, იყვნენ ადამიანის უფლებების ეროვნული ინსტიტუციის ან პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტები, მსგავსი მანდატის მქონე საერთაშორისო ორგანოს წევრები. ნებისმიერ შემთხვევაში, მონიტორინგში მონაწილე პირები ზედმიწევნით კარგად უნდა იცნობდნენ იმ სტანდარტებს და წესებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა მოსანახულებელ დაწესებულებაში. ყველა ეს ასპექტი შესაბამისად უნდა იქნეს გათვალისწინებული ორგანიზაციის შერჩევისას საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმში მონაწილეობისთვის.

ამასთან, ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს საკმარისი *ადამიანური რესურსი* იმ ფუნქციების განსახორციელებლად, რომლებიც საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს. ამგვარად, თუ საქმე გვაქვს ფსიქიატრიული დაწესებულებების მონიტორინგთან, ორგანიზაციას უნდა შეეძლოს ამ სფეროს ექსპერტების – ფსიქიატრების, ფსიქოლოგების, ფსიქოთერაპევტების, ასევე, მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლების, მაგ. სოციალური მუშაკების, მობილიზება. აქ ასევე გასათვალისწინებელია ორგანიზაციის მიერ წარსულში განხორციელებული პროექტები და მათში ჩართული ადამიანური რესურსი.

ორგანიზაციას, რომელსაც აქვს სურვილი, ჩაერთოს მონიტორინგის მექანიზმში, უნდა ჰქონდეს წინასწარ განსაზღვრული *აქტივობების გეგმა* და საკუთარი როლის ხედვა მექანიზმის ფუნქციონირების პროცესში. აქ გასათვალისწინებელია საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის მანდატის სახე და სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი გეგმების ურთიერთშედარებით და წარმოდგენილი იდეების შეჯერებით შესაძლოა შეირჩეს ორგანიზაციების ის ოპტიმალური შემადგენლობა, რომლებიც მექანიზმის ეფექტურობას შეუწყობს ხელს.

ნებისმიერი მონიტორინგისთვის აუცილებელია შესაბამისი *ფინანსური* და *მატერიალური რესურსები*. რასაკვირველია, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის იმგვარი

მოდელი, სადაც აღნიშნული რესურსების წყაროს თავად სახელმწიფო წარმოადგენს, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მფლობელ ინსტიტუციებსაც კი უჭირთ საკუთარი საქმიანობის განხორციელებისთვის საკმარისი დაფინანსების მოპოვება, შესაძლოა, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისთვის გადამწყვეტი სწორედ ფინანსური რესურსების მოძიების წინასწარ განსაზღვრული და რეალისტური გეგმა აღმოჩნდეს. ამიტომ, აუცილებელია ორგანიზაციას, რომელიც აღნიშნული მექანიზმის მუშაობაში უნდა ჩაერთოს, ჰქონდეს ფინანსების მოძიების შესაბამისი გამოცდილება და სტრატეგია. აქაც, ერთ-ერთ ელემენტად შესაძლოა განხილული იქნეს ორგანიზაციის მიერ წარსულში მოპოვებული დაფინანსება, თუმცა, სფეროს სპეციფიკიდან გამომდინარე, სასურველია, ორგანიზაციამ ასევე წარმოადგინოს საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმში ჩართვისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოძიების სქემა, რათა მისმა ჩართვამ პირიქით შეფერხებები არ გამოიწვიოს მექანიზმის მუშაობაში.

საკუთარი კანდიდატურის წარდგენისას ორგანიზაციამ ასევე უნდა წარადგინოს რისკების შეფასების დოკუმენტი, სადაც, სხვა ასპექტებს შორის განხილული იქნება თავად ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, ამ უკანასკნელთა აღმოფხვრის/კომპენსირების გზები, მათ შორის გარე რესურსების მობილიზების გზითაც – იგულისხმება სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის სტრატეგია, გარე ექსპერტების ჩართვა, სამთავრობო და სხვა შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის გეგმა და სხვა.

მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ორგანიზაცია წარმოადგენს ყველა ზემოთ ჩამოთვლილი კრიტერიუმების გათვალისწინებით შედგენილ კანდიდატურას, შესაძლოა იგი ჩართული იქნეს საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმში.

1.1.2 შერჩევის წესი

მნიშვნელოვანია, წინასწარ განისაზღვროს არასამთავრობო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ან მოხა-

ლისეების შერჩევის წესი, რომლებიც შემდგომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში მიიღებენ მონაწილეობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სხვადასხვა ქვეყნებში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მფლობელი ორგანოს უწყებრივი კუთვნილებიდან გამომდინარე, შესაძლოა აღნიშნული წესი რადიკალურად განსხვავდებოდეს – ზოგჯერ შესარჩევი კომისია ფუნქციონირებს იმ უწყების ქოლგის ქვეშ, რომელიც კურირებს ამა თუ იმ ტიპის დახურულ დაწესებულებებს (მაგ. დიდი ბრიტანეთი, გერმანია). სხვა შემთხვევებში, კომისიის წევრები სახელდებიან სხვადასხვა ორგანოების – პარლამენტი, მთავრობა, სასამართლო და სხვა, ან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ (მაგ. მალდივები, პარაგვაი).

სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა შერჩევის წესის განსაზღვრისას, პირველ რიგში მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივი თავისებურებები, კერძოდ კი, რამდენად მიუკერძოებლად იქნება აღქმული ამა თუ იმ უწყების კომისიის მიერ ჩატარებული შესარჩევი კონკურსი.

სასურველია, შერჩევის წესის ამსახველი დოკუმენტი იძლეოდეს იმ კრიტერიუმების დეტალურ ჩამონათვალს, რომლებიც გათვალისწინებული იქნება კანდიდატურების შერჩევისას. აღნიშნული დოკუმენტის შექმნაში სამოქალაქო საზოგადოების აქტიური მონაწილეობა შემდგომში პროცესების მაღალი ლეგიტიმურობის ერთ-ერთი გარანტიაა.

1.2 საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის როლი დახურული ინსტიტუციების მუშაობის გაუმჯობესებაში

როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასამთავრობოების დახურულ დაწესებულებებში დაშვება, ერთი მხრივ წარმოადგენს საზოგადოებრივი კონტროლის გაზრდის საშუალებას ამ დაწესებულებებზე, ხოლო მეორე მხრივ მათი მუშაობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მექანიზმს. ამ ორი ზოგადი ფუნქციიდან გამომდინარე, შესაძლოა, განისაზღვროს საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის სხვადასხვა როლი.

საზოგადოებრივი კონტროლი პირველ რიგში თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებების დარღვევის პრევენციას ემსახურება. აღნიშ-

ნული გულისხმობს თავისუფლებააღკვეთილი პირების მდგომარეობის რეგულარულ მონიტორინგს და იმ რისკების გამოვლენას, რომლებსაც შეუძლია გამოიწვიოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევა.

ამასთანავე არასამთავრობო ორგანიზაციების რეგულარული მუშაობა დახურულ დაწესებულებებში ხელს უწყობს დაწესებულებაში მომუშავე თანამშრომლების დაცვას ცრუ ბრალდებებისგან.

საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის უფლებამოსილებების განსაზღვრა სხვადასხვა სახით არის შესაძლებელი, იმის მიხედვით, თუ როგორ განისაზღვრება მისი ფუნქციები. იდეალურ ვარიანტში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის უფლებამოსილებები შესაძლოა, მაქსიმალურად იყოს მიახლოებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატთან. რასაკვირველია, გათვალისწინებული უნდა იყოს საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შესაძლებლობები და რესურსები.

1.2.1 პრევენციის ფუნქცია

პრევენციის ფუნქციის განხორციელებისთვის საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის წარმომადგენლებს სასურველია ჰქონდეთ:

- **თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის დაწესებულებებში თავისუფალი დაშვების და გადაადგილების უფლება** (პენიტენციური დაწესებულებები, დმი-ები, ჰაუპტვახტები, ფსიქიატრიული დაწესებულებები, ბავშვთა სახლები, მოხუცთა თავშესაფრები, მიგრანტთა დროებითი მოთავსების ადგილები). ამასთან, დაწესებულების ტიპიდან და საზოგადოებრივი მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანიზაციების სპეციალიზაციიდან გამომდინარე, წინასწარ შეიძლება განისაზღვროს, რომელ ორგანიზაციას რომელი ტიპის დაწესებულებაში ექნება დაშვება.
- **კონფიდენციალური გასაუბრების უფლება**, როგორც დაწესებულებაში განთავსებულ პირებთან, ასევე დაწესებულების თანამშრომლებთან; ამ შემთხვევაშიც გასათვალისწინებელია დაწესებულების სპეციფიკა. მაგალითად, ბავშვთა სახლების შემთხვევაში, მონიტორინგის ჯგუფში სასურველია შედიოდნენ ის პირები (ბავშვთა ფსი-

ქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი), რომლებსაც აქვთ ბავშვებთან მუშაობის უნარ-ჩვევები და შესაბამისი კვალიფიკაცია. იგივე შეიძლება ითქვას ფსიქიატრიულ დაწესებულებებში განთავსებულ პირებზეც.

- **დახურულ დაწესებულებებში განთავსებულ პირთათვის მათი უფლებების გაცნობა** – ხშირად, უფლებების არასაკმარისი რეალიზაციის მიზეზს შესაბამისი პირების მიერ ამ უფლებების არცოდნა წარმოადგენს. შესაბამისად, საზოგადოებრივი მონიტორინგის პრევენციული ფუნქციის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი დახურულ დაწესებულებებში განთავსებული პირებისთვის მათთვის კანონით და საერთაშორისო სტანდარტებით მინიჭებული უფლებების გაცნობაცაა. აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული ფუნქცია, თავდაპირველად, დაწესებულების პერსონალს აკისრია, თუმცა როგორც წესი, აღნიშნული ფორმალურად და არასაკმარისად ხორციელდება. ამიტომაც არასამთავრობო ორგანიზაციის ექსპერტებს შეუძლიათ, ასევე, დაატრენინგონ დაწესებულებების თანამშრომლები უფლებების შესახებ ინფორმაციის სწორი და ეფექტური ფორმით მიწოდებაში.
- **დაწესებულებების ინფრასტრუქტურის დათვალიერების უფლება** – მონიტორინგის ჯგუფის წევრმა უნდა იცოდეს, რას ამოწმებს. იგულისხმება, რომ იგი უნდა იცნობდეს იმ ეროვნულ თუ საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების ინფრასტრუქტურა. მაგალითად, რამდენი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართი უნდა იყოს გამოყოფილი ყოველ დაკავებულ პირზე ან როგორ უნდა იყოს მოწყობილი სამედიცინო ინფრასტრუქტურა.
- **ინფორმაციის/დოკუმენტაციის გამოთხოვის და ადგილზე გაცნობის უფლება**, გარდა „პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა – როდესაც საქმე ეხება ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას, მისი გაცნობის უფლება მხოლოდ პაციენტის გაცნობიერებული თანხმობის შემთხვევაში იქნება შესაძლებელი და მხოლოდ იმ პირებისთვის, ვისაც აქვს შესაბამისი სამედიცინო კვალიფიკაცია.

- **შესაბამისი ორგანოებისთვის რეკომენდაციების მიცემის უფლება- მოსილება** სისტემურ პრობლემებზე და მათი შესრულების მონიტორინგი. ამ საკითხში სასურველია მჭიდრო თანამშრომლობა მონიტორინგის სხვა მექანიზმებთან ან ომბუდსმენის ოფისთან.
- **წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების გამოვლენისას ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა.** როგორც უკვე ითქვა, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმში შემავალ ორგანიზაციებს სასურველია, ჰქონდეთ გარე ექსპერტების მობილიზების საშუალება, რაც საჭიროების შემთხვევაში მათ საშუალებას მისცემს, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, ჩაატარონ ალტერნატიული სამედიცინო ან ფსიქიატრიული ექსპერტიზა.
- **წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი ორგანოებისთვის** – საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციას არ წარმოადგენს ინდივიდუალური საქმეების განხილვა და მით უმეტეს, გამოძიების წარმოება. ამისთვის მის წევრ ორგანიზაციებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ არც შესაბამისი რესურსი და არც კომპეტენცია. თუმცა, მონიტორინგის განხორციელების დროს მონახულებული თავისუფლებააღკვეთილი პირებისგან, ან ნებისმიერი სხვა წყაროდან, შესაძლოა მექანიზმის წევრებისთვის ცნობილი გახდეს წამების ან არასათანადო მოპყრობის კონკრეტული ფაქტის თაობაზე. ამ შემთხვევაში საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ფარგლებში, შესაძლებელია დამატებითი ინფორმაციის და მტკიცებულებების მოპოვება ალტერნატიული ექსპერტიზის გზით, თუმცა, საბოლოო ჯამში, მოპოვებული ინფორმაცია უნდა გადაეცეს შესაბამის ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის. ეს არ გამოირიცხავს, როგორც ზოგადი რეკომენდაციების შემთხვევაში, საქმის მსვლელობისთვის თვალყურის მიდევნების აუცილებლობას.
- **ანგარიშის მომზადება** – ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ვიზიტის შედეგების ამსახველი ანგარიში, ასევე წლიური ანგარიში, სადაც ასახული იქნება საზოგადოებრივი მონიტორინგის საქმიანობის შედეგები, განხორციელებული და მომავალი აქტივობები და სხვა.

1.2.2 სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კონკრეტული ფორმები

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობამ დახურული დაწესებულებების ცხოვრებაში შესაძლოა, უფრო *კონკრეტული ფორმებიც* მიიღოს, რაც გულისხმობს სხვადასხვა ტიპის პროექტების განხორციელებას დაწესებულების შიგნით.

1.2.2.1 არასამთავრობო ორგანიზაციებს აქვთ შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსი, გაუწიონ დახმარება დახურულ დაწესებულებაში განთავსებულ პირებს *რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის* კუთხით. მათ შეუძლიათ შესთავაზონ დაწესებულებების ადმინისტრაციას რესურსების მოძიების საერთო გეგმა, ასევე შესთავაზონ მთავრობას სასჯელაღსრულების დაწესებულებებში განთავსებულ პირთა გადამზადება საგანმანათლებლო/პროფესიული პროგრამებით, რაც ხელს შეუწყობს მათ რესოციალიზაცია/რეაბილიტაციას. ასევე, შესთავაზოს სამინისტროს, აღნიშნული მონაწილეობის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, პატიმრების წახალისების ან პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების საკითხის განხილვისას ერთ-ერთ კრიტერიუმად პატიმრის პროფესიული უნარ-ჩვევები გამოიყენოს.

ამგვარად, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ საკუთარ თავზე აიღონ გარკვეული საგანმანათლებლო და პროფესიული განვითარების პროგრამების განხორციელება დაწესებულებაში. ასეთი პროგრამების განხორციელების მაგალითები ძირითადად უკავშირდება სასჯელაღსრულების დაწესებულებებს, თუმცა სხვა ტიპის დაწესებულებებშიც სამოქალაქო საზოგადოების ამ კუთხით მუშაობის არანაკლები შესაძლებლობაა. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების მეთაურობით, ბავშვთა სახლებში შეიძლება ორგანიზება გაეწიოს სხვადასხვა წრეების, ენის შემსწავლელი თუ სხვა კურსების მიმდინარეობას. ფსიქიატრიული დაწესებულებების რესურსი, როგორც წესი, ვერ წვდება პაციენტებისთვის საჭირო არტ-თერაპიის და სხვა ალტერნატიული და სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზებას. ამ შემთხვევაშიც, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა შესაძლოა

ფასდაუდებელი აღმოჩნდეს ფსიქიატრიული პაციენტების რეაბილიტაციისთვის.

1.2.2.2 სხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია, რომელიც შეიძლება, სამოქალაქო საზოგადოებამ შეასრულოს დახურულ დაწესებულებებში, არის *იქ განთავსებულ პირებსა და მათ ოჯახებს შორის კავშირების გაღრმავება/აღდგენა*. ისევ და ისევ, აღნიშნული ფუნქციის განხორციელება დაწესებულების ან შესაბამისი უწყების ქოლგის ქვეშ მომუშავე სოციალურ სამსახურებს ევალებათ, თუმცა როგორც წესი, მათი რესურსები არასაკმარისია, შესაბამისად, მუშაობაც – არადამაკმაყოფილებელი. აქედან გამომდინარე, ამგვარი სამუშაოს გარკვეული ნაწილის საკუთარ თავზე აღება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან წარმოადგენს არა ფუნქციების დუბლირების, არამედ დახმარების მცდელობას. აღნიშნული აქტივობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ფსიქიატრიული პაციენტების შემთხვევაში, რომლებთან მიმართებაშიც სოციალური სამსახურების მუშაობა განსაკუთრებით საჭიროებს გაუმჯობესებას.

1.2.2.3 არასამთავრობო ორგანიზაციების როლი შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს *შესაბამისი დაწესებულებების თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების* თვალსაზრისითაც. აქ საუბარია არა საბაზისო კომპეტენციებზე, არამედ იმ დამატებით უნარ-ჩვევებზე, რომლებიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება და რაც აზარალებს თავისუფლებაალკვეთილი ან თავისუფლებაშემზღუდული პირების უფლებებს.

მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც სასჯელაღსრულების დაწესებულების თანამშრომლები თავად არ იცნობენ პატიმრების უფლებებს და ცუდად ერკვევიან იმ სტანდარტებში, რომლებსაც უნდა იცავდეს დაწესებულება. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ფსიქიატრიული ან სხვა სამედიცინო დაწესებულების თანამშრომლები არ იცნობენ პაციენტის უფლებებს და არ აქვთ კონფიდენციალურობის დაცვის ჩვევა.

ყველა ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად არასოდეს იქნება ზედმეტი კვალიფიციური არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ თანამშრომლებისთვის ტრენინგების ჩატარება.

1.2.2.4 სამოქალაქო საზოგადოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დახურულ დაწესებულებებში არსებული *კორუფციის რისკე-*

ბის აღმოფხვრასა და პრევენციაში. რაც უფრო დახურულია დაწესებულება, მით უფრო მაღალია კორუფციის რისკი, განსაკუთრებით, როცა საქმე ეხება სასჯელაღსრულების დაწესებულებებს. გარე თვალისთვის მიუწვდომელი, ჩაკეტილი პენიტენციური სისტემა კრიმინალურ სამყაროს აძლევს მეტ შესაძლებლობას გააძლიეროს ზეგავლენა შიდა მოვლენებზე და დაწესებულების თანამშრომლებიც ჩაითრიოს კორუფციულ გარიგებებში. მით უმეტეს, რომ ამ სისტემაში თანამშრომლების ანაზღაურება დატვირთვისთან შესაბამისი არ არის.

სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია, დაწესებულების/სისტემის ხელმძღვანელობას გაუწიოს საექსპერტო დახმარება კორუფციული რისკების შეფასებაში, მისცეს შესაბამისი რეკომენდაციები, მხარი დაუჭიროს აღნიშნულ რისკებზე ცნობიერების ამაღლების კამპანიას და დაატრენინგოს თანამშრომლები.

1.3 მუშაობის კოორდინაცია პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან და შესაბამის ორგანოებთან

არასამთავრობო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა გაწიონ, ერთი მხრივ, ომბუდსმენის ოფისთან და/ან პრევენციის ეროვნულ მექანიზმთან თანამშრომლობის გზების დასახვისა და განხორციელების, ხოლო მეორე მხრივ, დახურული დაწესებულებების ხელმძღვანელობასთან კომუნიკაციის სტრატეგიის დასახვის თვალსაზრისით.

1.3.1 საზოგადოებრივი მონიტორინგი და პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ერთი შეხედვით, ამ ორი მექანიზმის ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევა, თუმცა მათ წარმომადგენლებზე დიდად არის დამოკიდებული, ეს კვეთა მიიღებს არაჯანსაღი კონკურენციის თუ თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების/ურთიერთშევისების სახეს. პირველ შემთხვევაში ორივე მხარე საგრძნობლად ზარალდება – პრევენციის ეროვნული მექანიზმი გარკვეულწილად კარგავს ავტორიტეტს სამოქალაქო

საზოგადოების თვალში და მნიშვნელოვან პარტნიორსაც არასამთავრობო ორგანიზაციების სახით, საიდანაც მას შესაძლებლობა აქვს, საჭიროების შემთხვევაში, მოიზიდოს ექსპერტები. თავის მხრივ, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირება გარკვეულწილად დამოკიდებულია ისეთი დამკვიდრებული პარტნიორის თანამშრომლობასა და კეთილგანწყობაზე, როგორსაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მქონე ორგანო წარმოადგენს. კოორდინირებული მუშაობის შემთხვევაში კი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის არსებობა გააძლიერებს პრევენციის ეროვნულ მექანიზმს და ერთობლივი ძალებით უფრო მარტივად მოხდება პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების დასახვა.

ამ მექანიზმებს შორის თანამშრომლობამ და კოორდინაციამ შესაძლებელია, ბევრი ფორმა მიიღოს. უნდა ჩატარდეს თემატური შეხვედრები, სადაც საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის წარმომადგენლები და პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრები ერთმანეთს გააცნობენ საკუთარ გეგმებს და პრიორიტეტებს, შეეცდებიან შეიმუშაონ კოორდინაციის მექანიზმი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ორივე მექანიზმის რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, საქმიანობის გადაფარვის თავიდან აცილებას და ინფორმაციის ეფექტურ გაცვლას. საკუთარ გეგმებს და პრიორიტეტებს, შეეცდებიან შეიმუშაონ კოორდინაციის მექანიზმი, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ორივე მექანიზმის რესურსების უფრო ეფექტურ გამოყენებას, საქმიანობის გადაფარვის თავიდან აცილებას და ინფორმაციის ეფექტურ გაცვლას. ასევე, გაუზიარებენ გამოცდილებას მონიტორინგის მეთოდოლოგიაში, ანგარიშის მომზადების ტექნიკასა და სხვა საკითხებში. თემატური შეხვედრების დროს შესაძლებელია შემუშავდეს პრინციპული საკითხების გადაწყვეტისთვის ერთობლივი სამოქმედო გეგმა, შესაბამის სუყებასთან კომუნიკაციის სტრატეგია, რაც ორივე მექანიზმს ხელს შეუწყობს მათთვის დაკისრებული ფუნქციების ეფექტურად განხორციელებაში.

გემოაღნიშნული მექანიზმების თანამშრომლობა ასევე მნიშვნელოვანი იქნება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიების წარმოებისას.

1.3.2 საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი და თავისუფლების აღკვეთისა და შეზღუდვის დაწესებულებების ხელმძღვანელობა

ერთი შეხედვით, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის ფუნქციების ნორმატიულ აქტში გაწერა საკმარისი უნდა იყოს მისი ჯეროვანი ფუნქციონირებისთვის, თუმცა პრაქტიკაში, ისევ და ისევ დახურული დაწესებულებების სპეციფიკიდან გამომდინარე, მათი ხელმძღვანელობის უნდობლობა შესაძლოა საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმისთვის პრობლემური აღმოჩნდეს და მას არ მიეცეს ნორმალური და ეფექტური ფუნქციონირების საშუალება.

მექანიზმის მანდატში მყოფ დაწესებულებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის უნდა ჩამოყალიბდეს თანამშრომლობის ერთიანი სტრატეგია, რაც გულისხმობს საკოორდინაციო შეხვედრებს, რა დროსაც უნდა დაისახოს თანამშრომლობის გზები ერთმანეთის დახმარების მიზნით. თანამშრომლობა შესაძლებელია განხორციელდეს მემორანდუმის ან შეთანხმების საფუძველზე. აუცილებელია დაწესებულების ხელმძღვანელობას ზუსტად ესმოდეს საზოგადოებრივი მონიტორინგის როლი და ფუნქციები და დაინტერესებული იყოს ამ მექანიზმთან თანამშრომლობით.

მაგალითის სახით შეგვიძლია ავიღოთ ანგარიშის მომზადების პროცესი. მომზადებული ანგარიშის განხილვა თავდაპირველად შესაძლებელია კონფიდენციალურად უშუალოდ იმ უწყების/დაწესებულების წარმომადგენლებთან, რომლებსაც ეხებათ ანგარიშში მოყვანილი დარღვევები და არასწორი პრაქტიკა. ამ შემთხვევაში ამ უკანასკნელთ აქვთ დაინტერესება, აქტიურად და ნაყოფიერად ითანამშრომლონ საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმთან და ითხოვონ გარკვეული დარღვევების გამოსწორების ვადა ან მისცენ კონკრეტული განმარტებები ამა თუ იმ პრაქტიკის თაობაზე. ვადების დაცვის და განმარტებების დამაჯერებლობის შემთხვევაში კი შესაძლებელია, აღნიშნული დარღვევები არც კი მოხვდეს ანგარიშში.

ასევე, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის წევრებმა რეკომენდაციების გაცნობისა და პრობლემების გადაჭრის გზების განსახილ-

ველად უნდა მოაწყონ შეხვედრები დაწესებულებების ადმინისტრაციასთან მონიტორინგის დასრულებისთანავე. ამ დროს შესაძლებელია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის ზეპირი რეკომენდაციების მიცემა გარკვეულ პრობლემებზე, რომლების აღმოფხვრაც შესაძლებელია ადგილობრივად და არ მოითხოვს განსაკუთრებულ ძალისხმევას და რესურსებს. დაწესებულების ადმინისტრაციის მზაობის შემთხვევაში კი შესაძლებელია, აღნიშნული საკითხები არც კი გასაჯაროვდეს.

წინამდებარე თავებში ასევე იქნა ჩამოთვლილი ის კონკრეტული სარგებელი, რომლებიც დახურულმა დაწესებულებებმა შეიძლება მიიღონ სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. მათ შეუძლიათ, ერთად განიხილონ ის საჭიროებები, რომლებიც კონკრეტულ დაწესებულებას ან დაწესებულების ტიპს აქვს და დაგეგმონ მათი დამყოფილების სტრატეგიები, იქნება ეს საგანმანათლებლო პროგრამები თუ ცნობიერების ამაღლების კამპანიები, ასევე, თანამშრომლების ტრენინგები სხვადასხვა სპეციფიკურ საკითხებში.

2. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება

2.1 ინსტიტუციური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

სლოვენიაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის ვიზიტებში, ანგარიშების და რეკომენდაციების მომზადებაში ომბუდსმენის თანამშრომლებთან ერთად 8 არასამთავრობო ორგანიზაციაა ჩართული. ასევე, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მართავს ყოველთვიურ თემატურ შეხვედრებს.

ხორვატიაში ომბუდსმენის თანამშრომლებთან ერთად მონიტორინგში ჩართულნი არიან სამოქალაქო საზოგადოების და აკადემური წრეების რამდენიმე წარმომადგენელი.

შვეიცარიაში წამების პრევენციის ეროვნულ კომისიის წევრები შერჩეულნი არიან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი კანდიდატურებიდან.

მალდივებზე ადამიანის უფლებათა ეროვნული კომისიის წევრები ასევე წარდგენილი არიან არასამთავრობო ორგანიზაციებიდან.

ნიდერლანდებში პენიტენციური დაწესებულების ინსპექტირების კომისია შედგება სამოქალაქო პირებისგან და ექსპერტებისგან.

დიდ ბრიტანეთში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მფლობელი პრაქტიკულად ყველა ორგანო შედგება სამოქალაქო საზოგადოებისგან და მოხალისეებისგან.

ავსტრიაში არსებობს ო რეგიონული კომისია და მასში ჩართული არიან სამოქალაქო საზოგადოების ექსპერტები, თუმცა ისინი არ იღებენ მონაწილეობას სახელმწიფო უწყებებთან კომუნიკაციაში და რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგში. გარდა ამისა, ავსტრიის ომბუდსმენის მხარდასაჭერად შექმნილია ადამიანის უფლებების მრჩეველთა საბჭო, რომელიც შედგება თავმჯდომარის და 32 წევრისგან. აქედან 16-ს ასახელებს სხვადასხვა სამინისტრო და შტატი, ხოლო დანარჩენ 16-ს არასამთავრობო ორგანიზაციები. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალურად აღნიშნული საბჭო არ არის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ნაწილი, ის უფლებამოსილია რჩევა მისცეს პრევენციის ეროვნული მექანიზმს მისი აქტივობის სხვადასხვა სფეროში, კერძოდ, მონიტორინგის პრიორიტეტების განსაზღვრისას, ასევე მიაწოდოს ანალიტიკური და სამართლებრივი დასკვნები ადამიანის უფლებათა დაცვის სხვადასხვა საკითხებზე. სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საგანია ის გარემოება, რომ საბჭოს არ აქვს უფლება ჩაერიოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგში. რაც შეეხება პოლიციის მონიტორინგს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის დასახელებამდე არსებობდა საკონსულტაციო და მონიტორინგის ორგანო, რომელმაც პრევენციის ეროვნული მექანიზმის დასახელების შემდეგ შექმნა სამუშაო ჯგუფი. იგი ახდენს პრევენციის ეროვნული მექანიზმის რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს და აქვეყნებს წლიურ ანგარიშს აღნიშნულ თემაზე, მათ შორის, მიუთითებს მიზეზებს, რის გამოც გარკვეული რეკომენდაციები არ შესრულდა.

დანიში საპარლამენტო ომბუდსმენსა და არასამთავრობო ორგანიზაცია DIGNITY-ს⁴⁰ შორის არის გაფორმებული შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც, ომბუდსმენის ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაცია ერთობლივად ახორციელებენ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. საბოლოო ჯამში აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია მონაწილეობს, როგორც მონიტორინგში, ასევე რეკომენდაციების შემუშავების პროცესში.

უნგრეთის ომბუდსმენს კანონი ავალდებულებს ითანამშრომლოს ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებთან. მისთვის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის მინიჭების პარალელურად შეიქმნა სამოქალაქო კონსულტაციის ორგანო, რომლის ფუნქციას წარმოადგენს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მანდატის ფუნქციების შესრულებაში დახმარება. აღნიშნული ორგანო შედგება 4 პროფესიული (სამედიცინო პალატა, ფსიქიატრიული ასოციაცია, დიეტოლოგთა ასოციაცია, ადვოკატთა ასოციაცია) და 4 არასამთავრობო ორგანიზაციისგან, რომლებიც მუშაობენ თავისუფლებააღკვეთილი პირების უფლებების დაცვაზე. საკონსულტაციო ორგანო უფლებამოსილია ომბუდსმენს რეკომენდაცია მისცეს რეკომენდაციების პრიორიტეტებზე, ვიზიტების დაგეგმვაზე, გარე ექსპერტების ჩართვაზე, ასევე შენიშვნები და რეკომენდაციები წარუდგინოს სამუშაო მეთოდოლოგიაზე, ანგარიშებზე და სხვა პუბლიკაციებზე და ტრენინგების დაგეგმარებაზე. საკონსულტაციო ორგანოს ფუნქციებში შედის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

ყირგიზეთში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიან პრევენციის ეროვნული მექანიზმის საკოორდინაციო საბჭოში.

გვატემალაში საკონსულტაციო საბჭო შედგება არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან.

პარაგვაიში პრევენციის ეროვნული კომისიის 3 წევრი დასახელებულია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

⁴⁰ ორგანიზაცია მუშაობს წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციაზე;

ჰონდურასში წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტის 1 წევრი დასახელებულია სამოქალაქო საზოგადოების მიერ.

2.2 არაფორმალური თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან

სხვა ქვეყნების პრევენციის ეროვნული მექანიზმები უფრო ნაკლებად ფორმალურ გზებს მიმართავენ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მუშაობის პროცესში.

მალტაზე პრევენციის ეროვნული მექანიზმი და სამოქალაქო საზოგადოება ცვლიან ინფორმაციებს და თავიანთ მუშაობაში იყენებენ არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშებს.

პორტუგალიაში პრევენციის ეროვნული მექანიზმის წარმომადგენლები რეგულარულად მონაწილეობენ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, რათა წარუდგინონ მათ ანგარიშები და ერთად განიხილონ პრობლემური საკითხები. გარდა ამისა, ომბუდსმენის ოფისს დახმარებას უწევს საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შედგება როგორც პროფესიული ასოციაციების წევრებისგან, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან და რომლის კომპეტენციებშიც შედის პრევენციის ეროვნული მექანიზმის აქტივობების შეფასება, კერძოდ კი, ვიზიტების გეგმის და წლიური ანგარიშების ანალიზი. ასევე, ვიზიტებზე რეკომენდაციების გაცემა.

პოლონეთში არასამთავრობო ორგანიზაციებმა შექმნეს კოალიცია OPCAT-ის ინპლემენტაციისთვის, რომელიც ყოველწლიურად ხვდება პრევენციის ეროვნულ მექანიზმს, რათა გაცვალონ ინფორმაცია და გამოცდილება. გარდა ამისა, ზოგიერთ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მართავს კვარტალურ და არაგეგმიურ შეხვედრებსაც.

ესტონეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის პრაქტიკაში, პრევენციის ეროვნული მექანიზმი და არასამთავრობო ორგანიზაციები ფორმალური თუ არაფორმალური გზებით რეგულარულად ცვლიან ინფორმაციას დახურულ დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობაზე, აქტუალურ საკითხებზე და პრობლემებზე.

ბულგარეთში მთავრობამ შექმნა უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შედიან სხვადასხვა სამინისტროების, მოსამართლეთა კორპუსის, პროკურატურის და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. აღნიშნული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში განიხილება პრევენციის ეროვნული მექანიზმის და წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT)-ის ანგარიშებში ასახული პრობლემები. სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ხდება, როგორც საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება და მომზადება, ასევე, სისტემური პრობლემების მოგვარების მიზნით სხვადასხვა ზომების მიღება და პრევენციული ღონისძიებების გატარება. ბულგარეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმის შეფასებით სამუშაო ჯგუფის მუშაობა ეფექტურია, ვინაიდან ორიენტირებულია რეალურ ცვლილებებზე. ბულგარეთის პრევენციის ეროვნული მექანიზმი აცხადებს, რომ სწორედ აღნიშნული სამუშაო ჯგუფის მუშაობამ უზიდავს შინაგან საქმეთა სამინისტროს შეექმნა სპეციალური ჯგუფი, რომელიც სამედიცინო პრობლემებზე იქნება ორიენტირებული.

ჰონდურასში წამების პრევენციის ეროვნულ კომიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები ადამიანის უფლებათა სფეროში მომუშავე ორგანიზაციებთან. მისი ქოლგის ქვეშ ფუნქციონირებს ადგილობრივი პრევენციული საბჭოები, რომლებიც მოხალისეებისგან შედგება.

პარაგვაიში პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში ასევე, აქტიურად მონაწილეობენ შესაბამისი გამოცდილების მქონე მოქალაქეები.

2.3 საქართველო

საქართველოში წლების განმავლობაში იქმნებოდა სხვადასხვა სახის მონიტორინგის მექანიზმები, თუმცა ისინი, ზოგ შემთხვევაში, ფინანსური სახსრების არარსებობის და ზოგ შემთხვევაში, სახელმწიფოს პოლიტიკური ნების გამო წყვეტდნენ არსებობას.

ამგვარად, 2010 წლის მარტამდე მოქმედი „პატიმრობის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებდა სასჯელალსრულების დაწესებულებებში საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმს, რომელიც შედგებოდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების, სასუ-

ლიერო პირების და საზოგადო მოღვაწეებისგან. ხსენებულმა საბჭომ უფლებამოსილების განხორციელება დე ფაქტო შეწყვიტა 2008 წელს. ამჟამად მოქმედი „პატიმრობის კოდექსი“ მსგავსი სახის საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმს აღარ ითვალისწინებს.

საქართველოს პრეზიდენტის 2004 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულებით დამტკიცდა იმ პირთა სია, რომლებსაც მიეცათ უფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლის, თუმცა 2010 წლის 24 სექტემბრის №776 ბრძანებულებით №309 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა.

აქვე აღსანიშნავია, რომ სხვა დახურული ტიპის დაწესებულებებში შესვლის უფლება, სახალხო დამცველისა და მისი რწმუნებით აღჭურვილი პირის გარდა, არცერთ პირს თუ ორგანიზაციას არ გააჩნდა.

2012 წლის 16 ოქტომბრის საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის N148 ბრძანებით განისაზღვრა 2013 წლის 31 იანვრამდე პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში სპეციალური ნებართვის გარეშე შესვლაზე უფლებამოსილ პირთა სია, რომლის საფუძველზეც აღნიშნული უფლება მიენიჭა დაახლოებით 40-მდე პირს.

2012 წლის 25 დეკემბერს სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა განცხადება, სადაც განმარტებული იყო, რომ N148 ბრძანების მოქმედების ვადა იწურებოდა 2013 წლის 01 იანვარს და რომ ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმის შექმნასთან დაკავშირებით გაიმართებოდა შეხვედრები და კონსულტაციები სხვადასხვა უწყებებთან და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან. საბოლოო ჯამში, ამ მიმართულებით რაიმე კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა და ალტერნატიული მონიტორინგის მექანიზმის საკითხი კვლავ ღიად რჩება.

აქვე აღსანიშნავია, რომ „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის (2014–2020 წლებისთვის) დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 აპრილის N2315-III დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგია“. აღნიშნული სტრატეგიის შემუშავებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი, როგორც სახელმწიფო უწყებები, ისე არასამთავრობო ორ-

განიზაცები. მითითებული დოკუმენტის თანახმად, სასჯელაღსრულების სისტემაში უნდა ჩამოყალიბდეს ეფექტიანი საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმი.

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში 2009 წლის 16 ივლისს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს სახალხო დამცველი ასრულებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატური ოქმით გათვალისწინებული პრევენციის ეროვნული მექანიზმის ფუნქციებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის აპარატში შეიქმნა პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც ეროვნული პრევენციული მექანიზმის მანდატით, დამოუკიდებელ ექსპერტებთან ერთად, ახორციელებს დახურული ინსტიტუციების მონიტორინგს.

სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტები პერიოდულად იღებენ მონაწილეობას მონიტორინგში, თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა დაშვება სახალხო დამცველის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რაც ყოველთვის ვერ აკმაყოფილებს სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნებს. აღსანიშნავია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის მუშაობაში ექსპერტები მონაწილეობენ არა როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, არამედ ინდივიდუალურად, როგორც შესაბამისი კომპეტენციის მქონე ფიზიკური პირები.

2014 წელს სახალხო დამცველმა ჩამოაყალიბა საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც სახალხო დამცველის ოფისის თანამშრომლებთან ერთად შედიოდა ექვსი მიწვეული ექსპერტი. საბჭოს შექმნის მიზანი იყო წამებისა და სხვა არასათანადო მოპყრობის პრევენციის კუთხით პრევენციის ეროვნული მექანიზმის ეფექტური საქმიანობის ხელშეწყობა. სახალხო დამცველის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციის თანახმად, „საბჭოს წევრები სახალხო დამცველს წარუდგენენ საკუთარ მოსაზრებებს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ განსახორციელებელი აქტივობების გეგმის, სამუშაო მეთოდოლოგიის, თემატური კვლევების, პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრების

პროფესიული სწავლების და პრევენციის ეროვნული მექანიზმის სხვადასხვა სტრატეგიული დოკუმენტების შესახებ, ასევე, მექანიზმის საქმიანობისათვის მნიშვნელოვან ნებისმიერ სხვა საკითხებზე“.⁴¹

⁴¹ <http://www.ombudsman.ge/ge/prevenciis-erovnuli-meqanizmi/prevenciis-erovnuli-meqanizmis-sakonsultacio-sabcho/prevenciis-erovnuli-meqanizmis-sakonsultacio-sabchos-shesaxeb.page>

გამოყენებული ლიტერატურა

1. Establishment and Designation of National Preventive Mechanisms, APT, 2006
2. „Preventing Torture, an Operational Guide for National Human Rights Institutions“, Asia Pacific Forum, Association for the Prevention of Torture, Office of the United Nations High Commissioner for Human Rights, May 2010
3. National Human Rights Institutions as National Preventive Mechanisms: Opportunities and challenges, Association for the Prevention of Torture, December 2013
4. Membership of National Preventive Mechanisms: Standards and experiences, Association for the Prevention of Torture, November 2013
5. Key Issues in Drafting Anti-Torture Legislation, Expert Meeting 2-3 November 2012, Report: Experience, Advice and Good Practices, Association for the Prevention of Torture, October 2013
6. Civil Society and National Preventive Mechanisms under the Optional Protocol to the Convention against Torture, Association for the Prevention of Torture, June 2008
7. Prevention of Torture in the Caucasus: Role and Experience of National NGOs, Association for the Prevention of Torture, Geneva, June 2003
8. Mesures carcérales et mesures non privatives de liberté, Le système pénitentiaire, Compilation d'outils d'évaluation de la justice pénale, Nations Unies, New York, 2008
9. Enhancing impact of National Preventive Mechanisms Strengthening the follow-up on NPM recommendations in the EU: strategic development, current practices and the way forward, Moritz Birk, Gerrit Zach Ludwig Boltzmann Institute of Human Rights (BIM) Debra Long, Rachel Murray Human Rights Implementation Centre (HRIC) at the University of Bristol Walter Suntinger Independent Consultant, May 2015;
10. Monitoring Places of Detention, Sixth Annual Report of the United Kingdom's National Preventive Mechanism, 2014-15

საკანონმდებლო აქტები

1. „წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმი“, OPCAT
2. საფრანგეთის რესპუბლიკის 2007 წლის 30 ოქტომბრის კანონი N2007-1545 „თავისუფლების აღკვეთის ადგილების გენერალური კონტროლიორის შესახებ“
3. საფრანგეთის რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის 2008 წლის 12 მარტის დეკრეტი N2008-246 „თავისუფლების აღკვეთის ადგილების გენერალური კონტროლიორის შესახებ“
4. შვეიცარიის კონფედერაციის 2009 წლის 20 მარტის ფედერალური კანონი „წამების პრევენციის კომისიის შესახებ“
5. მალდივის რესპუბლიკის კანონი N6/2006 „ადამიანის უფლებათა კომისიის შესახებ“
6. ყირგიზეთის რესპუბლიკის 2012 წლის 12 ივლისის კანონი N104 „წამების და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ეროვნული ცენტრის შესახებ“
7. ბოლივიის რესპუბლიკის 2013 წლის 30 დეკემბრის კანონი N474 „წამების პრევენციის სამსახურის შესახებ“
8. ბოლივიის პრეზიდენტის დეკრეტი N2082 „წამების პრევენციის შესახებ“
9. პარაგვაის რესპუბლიკის 2011 წლის 20 აპრილის კანონი N4288 „წამების და სხვა სასტიკი და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ეროვნული მექანიზმის შესახებ“
10. ჰონდურასის რესპუბლიკის 2008 წლის 05 დეკემბრის კანონი N136-2008 „წამების პრევენციის ეროვნული კომიტეტის შესახებ“
11. ახალი ზელანდიის 1989 წლის 13 ნოემბრის კანონი N106 „წამების დანაშაულის შესახებ“
12. მალტის 1995 წლის 01 ოქტომბრის ციხეების რეგულაცია

ვებ-საიტები

1. <http://www.apt.ch/>
წამების პრევენციის ასოციაცია
2. <http://www.nationale-stelle.de/index.php?id=83&L=1>
გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის „წამების პრევენციის ეროვნული სააგენტო“
3. <http://www.nkvf.admin.ch/nkvf/en/home/ueber-uns.html>
შვეიცარიის კონფედერაციის წამების პრევენციის კომისია
4. <http://www.nkvf.admin.ch/nkvf/en/home/ueber-uns.html>
საფრანგეთის რესპუბლიკის გენერალური კონტროლიორი
5. <http://www.npm.kg/>
ყირგიზეთის რესპუბლიკის წამების და სხვა სასტიკი და არააადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის პრევენციის ეროვნული ცენტრი
6. <https://www.hrc.co.nz/about/>
ახალი ზელანდიის ადამიანის უფლებათა კომისია
7. <http://www.ombudsman.parliament.nz/?CID=100117>
ახალი ზელანდიის ომბუდსმენი
8. <http://www.ipca.govt.nz/>
ახალი ზელანდიის პოლიციის მაკონტროლირებელი დამოუკიდებელი ორგანო
9. http://www.ivenj.nl/english/national_preventive_mechanism_npm/
ნიდერლანდების სამეფოს პრევენციის ეროვნული მექანიზმი
10. <https://www.justiceinspectores.gov.uk/hmiprisons/>
მისი უდიდებულესობის ციხეების ინსპექტორატი
11. <http://icva.org.uk/>
წინასწარი დაკავების ადგილების მონიტორინგის დამოუკიდებელი ასოციაცია
12. <https://www.gov.mt/en/Pages/gov.mt%20homepage.aspx>
მალტის მთავრობა
13. <http://www.ombudsman.ge/ge/>
საქართველოს სახალხო დამცველი

